



საქართველოს ს.ს.რ.



საბჭო. რესპუბლიკის

მუშათა და ზღვითა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს  
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1930 წ. მაისის 15.

№ 9

ნაწილი პირველი

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-V მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის დადგენილებანი.

71. 1930 წლის საგანაღებულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ.

**ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.**

72. საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ. დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის შესახებ.

73. ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა დებულების დამტკიცების შესახებ. დებულება ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა შესახებ.

74. სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და შეცვლის შესახებ.

75. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 265 მუხლის მე-2 შენიშვნის რედაქციის შეცვლის შესახებ.

76. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 324 მუხლის შეცვლისა და იმავე კოდექსის მე-X თავის მე-5 კარისათვის მე-IX განყოფილების დამატების შესახებ.

77. „საკრედიტო-კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხთა უდავო გადახდებიანების წესის დამყარების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1-ლი მუხლის დამატების შესახებ.

78. „ოთხფეხი საქონლის ფარულად დაკვლის აღმოჩენთა გასამრჯელოსი და ხორცის მოვარე სასელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ფარულად დაკლული საქონლის პროდუქტების გადაცემის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

79. სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა გადაუხდელობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

80. „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა უკიდურესი განაკვეთის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

- 81. ბინებში იძულებითა შეშვიდროებისა და გადასახადების შეზღუდვის შესახებ.
- 82. დაპერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების თაობაზე გამოცემული საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის მე-2 მუხლისათვის „კ“ პუნქტის დამატების შესახებ.
- 83. ეზოს ნუშათა შესახებ.
- 84. სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხ. შეცვლის შესახებ.
- 85. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე მოსახლე კულტურულად შედარებით უფრო ჩამორჩენილ ეროვნებათა ქალის მდგომარეობის დამახასიათებელ საყოფაცხოვრებო დანაშაულთა შესწავლის შესახებ.
- 86. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.
- 87. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1 პუნქტისათვის ლიტერი „ტ“-ის დამატების შესახებ.
- 88. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებათა შესახებ.
- 89. „სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა სავალდებულო დასაბრუნებელი ანაბარების თაობაზე“ გამოცემული 1930 წ. თებერვლის 16-ის დადგენილების მოქმედების შეჩერების შესახებ.
- 90. ხელისუფლების ქვედა ორგანოების ამოცანების შესახებ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის საქმეში.
- ინსტრუქცია იმ დადგენილების შეფარდებისათვის, რომელიც შეეხება ხელისუფლების ქვედა ორგანოების ამოცანებს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის საქმეში.

### ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

91. ქალაქის საბჭოების წევრების მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონების სასოფლო საბჭოებში და რაიონსაკომებში სახელმძღვანელო სამუშაოზე გაგზავნის შესახებ.

### სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

- 92. სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის ორგანოების მოწყობის შესახებ.
- 93. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დადგენილების თანახმად გამოსახლებულ პირთა რეგისტრაციის შესახებ.
- 94. საბაზრო კომიტეტების დებულების 27 მუხლის შეცვლის შესახებ.
- 95. ხორცის სავალდებულო დადაღვის შესახებ.
- 96. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაწესებულებათა და სამედიცინო პერსონალის საკავშირო აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
- 97. მუშებისა და გლეხებისათვის სამედიცინო მომსახურეობის გაწევის შესახებ.
- 98. კვალფიციური სამედიცინო პერსონალის სოფლად და საქარზნო-საფაბრიკო რაიონებში სამუშაოდ გაგზავნისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
- 99. საქართველოს სსრ-ის ცენტრალურ დეწესებულებათა ნელმძღვანელი პერსონალის მორიგი შევბულების შესახებ.
- 100. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების შედგენისა და განხილვის წესის შესახებ.
- 101. ცალობითი ვაჭრობის რაციონალიზაციის ღონისძიებათა შესახებ.
- 102. მთლიანი ჯიშინი ნათესებისათვის დანიშნულ მასსივებში უბრალო თესლის შერევის წინააღმდეგ საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
- 103. 1930 წლის საგზაფხულო თესვის კამპანიისათვის ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის შესახებ.
- 104. „დედა-ცხვრების დაკვლის აკრძალვის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 1-ის დადგენილების 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

105. სეანეთის გზის მშენებელი კომიტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 13-ის დადგენილების გაუქმებისა და სეანეთის გზის მშენებელი კომიტეტის ახალი დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სეანეთის გზის მშენებელი კომიტეტის შესახებ.

106. ბორჯომის მინერალური წყლის („ბორჯომის წყალი“) ქარხნების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ბორჯომის მინერალური წყლის („ბორჯომინწყალი“) ქარხნების სამმართველოსი.

## სრულიად საკართველოს საბჭოთა მე-V მოწვევის აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის დადგენი- ლებანი.

### 71. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც. ა. კ.

(მე-V მოწვევის მე-2 სესიის).

**1930 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ.**

მოისმინა რა მოხსენება 1930 წლ. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის თაობაზე, — სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-V მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესია ადგენს:

1. 1930 წ. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებას განსაკუთრებული ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის შემდგომი წარმატებისა და სოციალისტური გარდაქმნის უზრუნველყოფისათვის. სოფლის მეურნეობაში სარეკონსტრუქციო პროცესების მაქსიმალურად დაჩქარების ამოცანა მოითხოვს განსაკუთრებით მაღალი და ჩქარი ტემპების განხორციელებას და სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მთელი მუშაობის სწორ ორგანიზაციას.

ღარიბი და საშუალო გლეხობის მასიურმა მისწრაფებამ კოლმეურნეობებში ჩამბმისადმი და უკანასკნელ ხანში გაცხოველებული ტემპით ფართოდ გაშლილმა კოლმეურნეობების მიმდინარე მშენებლობამ სოფლის მეურნეობის წარმოების სისტემაში გაადიდა სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა, რამაც შექმნა ყველა მატერიალური წინაპირობა კულაკური მსხვილი მეურნეობების მთლად კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებით შეცვლისათვის.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გადამწყვეტი ფაზა სრულიად მკაფიოდ მოითხოვს, რათა სოციალისტურ საფუძველზე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის შევეუდგეთ გადამჭრელ ღონისძიებათა განხორციელებას კულაკების, როგორც კლასის, მოსასპობად, მათთვის მთელი საწარმოო საშუალებების ჩამორთმევით და მიწათსარგებლობის უფლების აყრით.

2. მიმდინარე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების დროს საჭიროა უშუალოდ შეუდგეთ მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში კაპიტალისტური ელემენტების (კულაკების), როგორც კლასის, მოსპობისათვის მიმართულ ღონისძიებათა განხორციელებას, რისთვისაც მობილიზაცია უნდა ექნეს ამ საკითხის გარშემო მოჯამაგირეებს, უღარიბეს და საშუალო გლეხობის ფართო მასას. ამ ღონისძიებათა განხორციელების საქმე უნდა დაუყოვნიროთ სოფლად მომქმედ მუშათა ბრიგადებს, რომელნიც კამპანიაში ფართო მონაწილეობას იღებენ; ამით კამპანია უზრუნველყოფილ იქნება ნამდვილი რევოლუციონურ-პროლეტარული ზეგავლენით, და ამრიგად საგაზაფხულო-სამეურნეო კამპანია გადაიქცევა კულაკების, როგორც კლასის, მოსპობის პრაქტიკული განხორციელების დასაწყისად.

3. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მისი სოციალისტური გარდაქმნის ძირითად ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაც 1930 წელს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის განხორციელებისათვის შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემის მიზანი უნდა იყოს, — შეადგენს:

ა) სოციალისტური სექტორის (საბჭოთა მეურნეობანი, კოლექტიური მეურნეობანი) გაფართოება და მისი თვისებრივი წარმატება;

ბ) გადამწყვეტი გარდატეხა იმ ტენიკური და ძვირფასი კულტურების განვითარების ტემპებში, რომელთაც მთავარი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის;

გ) მოსავლიანობის გადიდებისა და მარცვლეული კულტურების სივრცის გაფართოებისათვის დასახული ტემპების შესრულების უზრუნველყოფა;

დ) თვალსაჩინო დაჩქარება მესაქონლეობის განვითარების ტემპისა მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის გზით;

ე) სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ტემპების დაჩქარება;

ვ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონტრაქტაციის პრაქტიკის მაქსიმალური გაფართოება — მისი საორგანიზაციო წარმოებითი მნიშვნელობის თვალსაჩინო გაძლიერებით;

ზ) ფართო წარმოებითი დახმარების აღმოჩენა ისე, რომ ამ დახმარებამ ხელი შეუწყოს ღარიბ და საშუალო გლეხობის კოლექტიურ გაერთიანებას;

ი) საწარმოო საშუალებებისა და მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა კულაკურ მეურნეობათათვის ერთიანი კოლექტივიზაციის რაიონებში და მათი გადაცემა კოლმეურნეობისათვის.

4. მიღებულ იქნეს საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების ნათესი სივრცის გაფართოება 4,8 პროცენტით, განსაზოგადოებულ სექტორში ნათესი სივრცის გაფართოება განისაზღვროს არა ნაკლებ მთელი საგაზაფხულო ნათესის სივრცის 30 პროცენტისა.

5. საჭიროდ იქნეს ცნობილი საგაზაფხულო პერიოდში ტენიკური და ინტენსიური სანედლეული კულტურების ხვედრითი წონის თვალსაჩინოდ გადიდება, რისთვისაც უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული კულტურების ნათეს სივრცის მაქსიმალური ზრდა.

6. მიმდინარე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუდმივ ნარგავების: ვენახებისა, ბაღებისა, ბოსტნებისა და სხვ. სივრცის ზრდას. აღინიშნოს, რომ წინა წლებში ამ ნარგავთა სივრცის ზრდა არ იყო საკმარისი და მომავალი საჭიროებანი კი გადაუდებლად მოითხოვენ ბაღებისა და ვენახების სივრცის ზრდას, რაც უნდა სავსებით შეეთანხმოს საერთო სექსპორტო ბაზრის გაფართოების პრობლემას და ბოსტნეული პროდუქციის გადიდების საქმეს ქალაქებისა და მუშა მოსახლეობის სასურსათო მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების მიზნით; ამისათვის საჭიროა საძირე მასალა (ვაზის ნამყენი, ხილის ნერგი და სხვა), უცხოეთიდან იმპორტის ნაცვლად, ადგილობრივ დამზადდეს სადღეღების მოწყობის მეშვეობით.

ახალ სივრცეთა გაშენება და გაბმულ ბალ-ვენახ-ბოსტნების მოწყობა სახელმწიფოს მიერ გაღებული კრედიტებით უნდა სწარმოებდეს მხოლოდ სოციალისტურ სექტორში: საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და სასოფლო-სამეურნეო აგრო-ინდუსტრიალური კომბინატების რაიონებში.

7. სოფლის მეურნეობაში მესაქონლეობის (მუშა-საქონლის ხაზით) განვითარების ტემპი, მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის გზით, საგრძნობლად ჩამორჩენილია მარცვლოვან ტეხნიკური კულტურების ტემპთან შედარებით, რის გამოც საჭიროა დაჩქარებულ იქნეს მესაქონლეობის რაოდენობითი და თვისებითი ზრდა-გაუმჯობესება, განსაკუთრებით სოციალისტური სექტორის ხაზით; ამისათვის ჯიშთა გაუმჯობესებისათვის წარმოებული მეცნიერული მუშაობის პარალელურად, უნდა შეიქმნას სათანადო საკვებ საშუალებათა მტკიცე ბაზისი: ნათესი ბალახების სივრცის გადიდებით, მემინდვრეობაში და თესლთაბარუნვაში ცერცვოვან მცენარეთა სათანადო  $\frac{1}{2}$ -ის მიღებით, ტლანჭი საკვების დასილოსების ფართო შემოღებით და საქონლის შენახვა-მოვლის საერთო პირობების არსებითი გაუმჯობესებით.

ყველა აღნიშნული ღონისძიებების საფუძველზე უნდა შემუშავდეს რაიონობრივი ზოომინიმუმი და უზრუნველყოფილ იქნეს საამისოდ გათვალისწინებული ამოცანების განხორციელება.

8. სოფლის მეურნეობის ტეხნიკური და სოციალისტური რეკონსტრუქცია და მასთან დაკავშირებული ინტენსიური და შრომა-ტევადი კულტურების დასახული ხვედრითი წონის მიღწევა შესაძლოა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში ძირითად სამუშაოთა დროზე შესრულებით და მათი ცალკე პროცესების მაქსიმალური მექანიზაციით, რისთვისაც აუცილებლად იქნეს ცნობილი:

- ა) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დაუყოვნებლივ მოწყობა;
- ბ) ახლად შემოზიდული და არსებული ტრაქტორების ჯგუფურად გამოყენება სატრაქტორო კოლონების სახით, მათი ტეხნიკური ორგანიზაციების მომსახურეობისა და მოვლა-პატრონობის საქმის გაადვილებისათვის;
- გ) როგორც რესპუბლიკანური, ისე ადგილობრივი საშუალებებით რაც შეიძლება მეტი ხარ-კამეჩ-მანქანებისა და ცხენ-მანქანების კოლონების შექმნა კოლმეურნეობათა მიწების სრული 100%-ით და დროზე დამუშავებისათვის. აგრეთვე ეს საშუალებანი გამოყენებულ იქნეს ზოგიერთ შემთხვევაში ისეთ დარბ ინდივიდუალურ მეურნეობათა დასამუშავებლად, რომელთაც საკუთარი

საწვევი ძალა არ გააჩნიათ და თავიანთი ძალღონით არ შეუძლიანთ მიწის დამუშავება;

დ) რადგანაც მასიურ კოლექტივიზაციასთან ერთად თავი იჩინა მუშა-საქონლისა და საერთოდ საქონლის განზრახ გაყიდვამ და აქედან გამომდინარე საქონლის საერთო რაოდენობის შემცირებამ, მიღებულ იქნეს გადამჭრელი ღონისძიებანი დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემისათვის, ხოლო კულაკების მიმართ თვით საქონლის კონფისკაციის შეფარდებისათვის;

ე) არსებული მანქანა-იარაღების შეუფერხებელი და განუწყვეტელი მუშაობის უზრუნველსაყოფად გაფართოებულ უნდა იქნეს არსებული და მოეწყოს მთელი რიგი ახალი სარემონტო სახელოსნოები, როგორც სტაციონარი, ისე მოძრავი ტიპისა; ამასთანავე, ამ სახელოსნოებმა მანქანა-იარაღების მუშაობას მუდმივ თვალყური უნდა ადევნონ და დაზიანებისათანავე შეაკეთონ; გადიდდეს მანქანა-იარაღების არსებული მარაგის მუშაობის ნაყოფიერება.

9. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიამ უნდა მოახდინოს რადიკალური გარდატეხა მარცვლეული და ტენიკური კულტურებისათვის მინერალურ სასუქის მასიური გამოყენების საქმეში და, სათანადო საცდელი მუშაობის გაღრმავებასა და გაფართოებასთან ერთად, უნდა გამოიწვიოს კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მასიური გადასვლა მინერალური სასუქის ფართო გამოყენებაზე.

თვალსაჩინოდ იქნეს გაძლიერებული სასუქის შეტანა ტენიკურ კულტურებში (ჩაი, ბამბა, თამბაქო, შაქრის ჭარხალი და სხვა).

რადგანაც უეჭველი ნიშნები გვაქვს იმისა, რომ ებრაელობა თანდათან ებმის სასოფლო მეურნეობის წარმოებაში, ხოლო მას საამისო უნარი და გამოცდილება აკლია, — დაევალოს სათანადო ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ებრაელობას მიწაზე დამკვიდრებისა და შეგუების საქმეში, როგორც მატერიალურად, ისე ორგანიზაციულად და აგრეთვე სათანადო ხელმძღვანელობით.

10. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის საგრძნობლად შემცირებას იწყვეს სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისა და ცხოველების მავნებელთა და სნეულებათა სიმრავლე და გავრცელება. ამიტომ მოსავლიანობისა და საერთო შემოსავლის გადიდებისათვის აუცილებელ ღონისძიებად უნდა იქნეს მიჩნეული მავნებლებთან და ავადმყოფობასთან გაძლიერებული ბრძოლის წარმოება, რისთვისაც საჭიროა:

ა) სათესლე მასალის მთელი 100%-ით დაწამვლა, გადარჩევა და გადახარისხება;

ბ) სარეველა მცენარეებთან ბრძოლა;

გ) კალიისა, მახრას, გუდაფშუტას და სხვა მინდვრის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა;

დ) ბალისა, ბოსტნისა და ტენიკური კულტურების მთლიანი და დროზე წამლობა.

აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად უნდა გაძლიერდეს აგრო-ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფილ იქნეს წამლეული მასალებისა და საჭირო იარაღ-ხელსაწყოების სათანადო რაოდენობით მომარაგება.

11. რადგანაც მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპანიას არა აქვს ეპი-ზოდური ხასიათი და მასთან დაკავშირებულმა საქმიანობამ უნდა შექმნას სოფ-ლის მეურნეობის ძირეული რეკონსტრუქციის მტკიცე საფუძველი, ამიტომ აუცილებელი საჭიროებაა სახელმწიფო სახსარის გაღებით შეიქმნას ხარის-ხოვანი თესლეულობის და საჯიშე მასალის ხელუხლებელი და მუდმივი ფონდი; კერძოდ—

ა) სელექციური სიმინდისა, თავთავიან პურეულისა და ცერცვოვან მცე-ნარეთა მოსაყვანად (სარეპროდუქციოდ) ნაკვეთების მოწყობა საცდელ-დაწესე-ბულებებსა, მსხვილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

ბ) სათესი ბალახეულის სათესლე ნაკვეთების შექმნა, როგორც ზემოაღ-ნიშნულ ადგილებში, ისე ამ კულტურისათვის შესაფერ და საერთოდ, მდელოს-ნობისათვის ვარგის ბუნებრივ რაიონებში;

გ) მესაქონლეობის საჯიშე მასალის ფართო მომზადება ზოოტექნიკური, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის სადგურებსა და ყველა ზემოაღნიშნულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში.

12. ყველა აღნიშნული ღონისძიება და, საერთოდ, სოფლის მეურნეობის ძირითადი სოციალისტური რეკონსტრუქცია უნდა მიმდინარეობდეს კოლმეურ-ნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და აგრო-ინდუსტრიალურ კომბინატების მშენებლობის ფართოდ გაშლით.

ამისათვის აუცილებლად იქნეს ცნობილი კოლექტივიზაციის ტემპის ზრდა არსებული 6<sup>0</sup>/<sub>6</sub>-დან არა ნაკლებ, ვიდრე 30<sup>0</sup>/<sub>6</sub>-დე.

რაოდენობის ზრდასთან ერთად პარალელურად უნდა სწარმოებდეს ახალ კოლექტივთა გეგმიანი მშენებლობა, ხოლო არსებულ წვრილი კოლექტივების სათანადოდ გამსხვილება, მათი ჯგუფური შენაერთების მოწყობით; ამ შენაერთ-თათვის და ცალკე კოლმეურნეობათათვის საორგანიზაციო-საწარმოო გეგმების შედგენა, ანგარიშწარმოების წესიერად დაყენება და მათი უზრუნველყოფა მუდ-მივი აგრონომიული ხელმძღვანელობით.

13. სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარ-მოადგენს საბჭოთა მეურნეობის, როგორც სახელმწიფო ფორმის მეურნეობის, ფართო მშენებლობის გაჩაღება. ეს მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ორი მხრით— ქალაქის მრეწველობის უზრუნველყოფა მტკიცე ნედლეული ბაზისით, განსაკუთ-რებით სუბტროპიკულ ტექნიკურ ნედლეულის ხაზით და მეორე—ქალაქების ირგვლივ სასურსათო პროდუქციის მომცემ საბჭოთა მეურნეობების მთელი რკა-ლის შექმნით.

ამისათვის აუცილებელ საჭიროებად უნდა იქნეს აღიარებული,—არსებულ საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-ფინანსიურ განმტკიცებასა და წარმოე-ბის მასშტაბის თვალსაჩინო ზრდასთან ერთად,—მთელი რიგი ახალ საბჭოთა მეურნეობების მოწყობა; ამ საერთო მშენებლობის მტკიცე გეგმიან საფუძველზე

გადაყვანისათვის უნდა მოხდეს მათი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია.

14. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობის სწრაფი ზრდის უზრუნველყოფის ერთ-ერთ წინაპირობად მიჩნეულ უნდა იქნეს მიწათმოწყობის დროზე ჩატარება; ამიტომ მუშაობა მიწათმოწყობას დარგში ისე უნდა იქნეს წარმოებულ, რომ ამ უკანასკნელის ტემპი არ ჩამორჩებოდეს კოლექტივიზაციის საერთო ტემპს. ამისათვის კი შეჩერებულ უნდა იქნეს ინდივიდუალური წესით მიწათმოწყობის წარმოება გარდა ზოგიერთი ნაციონალური რაიონისა, სადაც კოლექტიური მოძრაობა ჯერ არ არის ფართოდ განვითარებული, ფართოდ გამოყენებულ უნდა იქნეს უახლოეს ხანში შემუშავებული მიწათმოწყობის გამარტივებული მეთოდები და შეუჩერებლად სწარმოებდეს სამიწათმოწყობო მუშაობა მიმდინარე ზამთრის მთელ პერიოდში.

ყველა ამის შედეგად, სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მუშაობის ადგილებზე სრული გაშლის მომენტისათვის, უნდა დამთავრდეს ერთიანი კოლექტივიზაციისა და სასოფელთაშორისო სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რაიონებში მიწათმოწყობის გატარება.

15. ზემოაღნიშნული ყველა ღონისძიების განხორციელების შედეგად მიღწეულ უნდა იქნეს მოსავლიანობის თვალსაჩინო ზრდა, რაც ცალკე კულტურების მიხედვით, უნდა გამოიხატოს შემდეგ მაჩვენებლებში: ხორბლოვან და, საერთოდ, სასურსათო კულტურებისათვის 8,3<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ი—და სართავ-ტენნიკურ მცენარეებისათვის-კი (ბამბა, კენაფი, თამბაქო და სხვ.) 20<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მდე.

16. დასახულ ამოცანათა განხორციელების საქმეში დიდი მნიშვნელობის ღონისძიებად მიჩნეულ უნდა იქნეს საწარმოო კონტრაქტაციის პრაქტიკის ფართოდ გამოყენება, რაც უნდა გულისხმობდეს ორმხრივ ვალდებულებას: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდებელსა—ე. ი. კოოპერაციასა და სოფელსა და მომხმარებელ (ქალაქის მშრომელი მოსახლეობასა და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობას) შორის; დასასრულ, კონტრაქტაციით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გვეგმინი შეთანხმება მრეწველობის ნედლეული ბაზისისა და სოფლის მეურნეობის ძირითად საწარმოო საშუალებათა მოპარაგების საქმეში.

17. იმ უდიდესი ამოცანების სავსებით განსახორციელებლად, რაც დასახულია მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წინაშე, საკმარისი არ არის სახელმწიფოს მიერ ამ მიზნისათვის გადადებული არსებითად მნიშვნელოვანი სახსარი, ამიტომ აუცილებლად უნდა იქნეს აღიარებული გლეხობის ადგილობრივი სახსარის ფართო მობილიზაცია და მისი მიზნობრივი გამოყენება.

18. სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გვეგმების რაიონებამდე, სოფლამდე, კოლექტივამდე მისაღწევად და მათი რეალური განხორციელების უზრუნველსაყოფად, საჭიროა ადგილობრივ ფართოდ იქნეს გამოყენებული უმარტივესი აგრო-საწარმოო ღონისძიებანი, როგორც, მაგ.: აგრო და ზოომინიმუმის დამუშავება, აგრო-რწმუნებულთა მუშაობის განუწყვეტელი ხელმძღვანელობა, მათი და საერთოდ სოფლის აქტივის მოსამზადებელი კურსების ფართოდ მოწყობა და სოციალისტური შეჯიბრების პრაქტიკის გამოყენება.



19. სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წინაშე დასახული დიადი ამოცანების განხორციელება სრულიად წარმოუდგენელია მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის ამ საქმეში აქტიურად ჩაბმის გარეშე, ამიტომ აუცილებელ საქიროებად იქნეს ცნობილი როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ მთელი კულტურული ძალების უახლოესი მონაწილეობა—კომკავშირისა და საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების; აგრეთვე მუშათა და სპეციალისტთა ბრიგადების შექმნა, საშეფო საზოგადოებების მუშაობის გაცხოველება და მათი დაგზავნა ადგილებზე უშუალო საწარმოო დავალებებით. იმავე დროს სასოფლო-სამეურნეო სკოლების ადგილობრივმა ქსელმა, პოლიტ-განათლების ორგანოებმა და ქობ-სამკითხველოებმა მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მუშაობის გაცხოველებას. ჩვენი მასების საერთო ძალების ამგვარი მთბილიზაციით უზრუნველყოფილი გახდება სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარება.

ამრიგად, საგაზაფხულო თვისის კამპანიის წარმატებით ჩატარება აუცილებლად მოითხოვს ყველა აქტიური მოქალაქის მონაწილეობას ამ საქმეში, უპირველეს ყოვლისა ხელმძღვანელი ორგანოების მომუშავეთა მონაწილეობას. ამის გამო სესია საჭიროდ სცნობს, რათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებიც ფართოდ ჩაებნენ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში ადგილებზე და თავიანთი მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენებები წარუდგინონ ხოლმე როგორც ადგილობრივ ორგანოებს, ისე ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. იანვრის 17.

ტიფლისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 20 №-ში 1930 წ. იანვრის 25.

## ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილებანი.

### 72. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს სასამართლოს წყობილების დებულების მე-XII თავი „სახელმწიფო პროკურატურა“ და დამტკიცებულ და 1930 წლის მარტის 1-დან

სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდიენის მოვ. აღმ. **თ. ჟღენტი**.

1930 წ. თებერვლის 21.

ტფილისი—სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის შესახებ.

თ ა ვ ა I.

პროკურატურის სტრუქტურა.

1. საქართველოს სახელმწიფო პროკურატურა განწყობილია სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან.
2. საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის სათავეში სდგას რესპუბლიკის პროკურორი, რომელსაც ირჩევს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და რომელიც უშუალოდ განაგებს რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველოს.
3. რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველო შესდგება: ა) საერთო, ბ) საერთო ზედამხედველობისა, გ) სასამართლო ზედამხედველობისა, დ) გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოთა, აგრეთვე საპატიმრო ადგილების ზედამხედველობისა, ე) სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოთა ზედამხედველობისა და ვ) შრომის საქმეთა ზედამხედველობის განყოფილებებისაგან.
4. რესპუბლიკის პროკურორთან, შტატით განსაზღვრული რიცხვით, განწყობილი არიან რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწენი და—ამ უკანასკნელთა უშუალო ხელქვეითობით—რესპუბლიკის პროკურორის სამმართველოს პროკურორები.

რესპუბლიკის პროკურორის ერთ-ერთი თანაშემწე, უფროსი თანაშემწის სახით, ითვლება რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე.

5. რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეთ თანამდებობაზე ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რესპუბლიკის პროკურორის წარდგენით. ხოლო პროკურატურის სამმართველოს პროკურორებს დანიშნავს და დაითხოვს რესპუბლიკის პროკურორი.

**შენიშვნა.** რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეს შრომის საქმეთათვის ვნიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის პრეზიდენტი, რესპუბლიკის პროკურორის წარდგენისამებრ, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან.

6. პროკურორის ფუნქციებს ადგილებზე ანხორციელებენ აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის სამმართველო ქ. ტფილისში და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის სამმართველო ქ. ქუთაისში.

საოლქო პროკურატურის ორგანიზაციას განსაზღვრას რესპუბლიკის პროკურორი.

7. რესპუბლიკის პროკურორს უშუალოდ ემორჩილებიან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორები, რომელთაც თანამდებობაზე პნიშნავს და თანამდებობიდან ითხოვს რესპუბლიკის პროკურორი.

8. საოლქო პროკურორთან, შტატით განსაზღვრული რიცხვით, განწესებულ არიან საოლქო პროკურორის მოადგილე და თანაშემწენი, რომელთაც პნიშნავს და ითხოვს რესპუბლიკის პროკურორი, საოლქო პროკურორის წარდგენით, და რომელნიც მოქმედებენ საოლქო პროკურატურის სამმართველოსთან.

მოადგილესა და თანაშემწეთა შორის მოვალეობას ანაწილებს საოლქო პროკურორი.

**შენიშვნა.** პროკურორის თანაშემწეთა მოვალეობის განაწილება და ამ განაწილებაში ცვლილების შეტანა საოლქო პროკურორმა უნდა აცნობოს რესპუბლიკის პროკურორს.

თ ა ჯ ი II.

### პროკურატურის ფუნქციები.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურას დაეკისრება:

ა) გაუწიოს სახელმწიფოს სახელით ზედამხედველობა ხელისუფლების ყველა ორგანოს, სამეურნეო დაწესებულებებისა, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციისა და კერძო პირის მოქმედების კანონიერებას, რისთვისაც იგი აღძრავს დამნაშავეს წინააღმდეგ სისხლის სამართლის, საადმინისტრაციო ან სადისციპლინო წესით დევნას და განაპროტესტებს, კანონით დადგენილი წესით, ყველა ისეთ დადგენილებას, ბრძანებას, ცირკულარს და განკარგულებას, რითაც კანონი იქნება დარღვეული;

ბ) გაუწიოს უშუალო ზედამხედველობა, ინსტრუქტირება და ხელმძღვანელობა გამომძიების ყველა ორგანოს მუშაობას და აგრეთვე თვალყური ადევნოს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტის დადგენილებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოთა მუშაობას;

გ) გაუწიოს საერთო მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა მოკვლევის ყველა ორგანოს როგორც სამძებრო მუშაობისა, ისე მოკვლევის სფეროში;

დ) თვალყური ადევნოს განაჩენების აღსრულებას, პატიმრობის კანონიერებას და საპატიმრო ადგილების მდგომარეობას და მუშაობას;

ე) გაუწიოს საერთო მეთვალყურეობა და შეათანხმოს ყველა იმ ორგანოს მუშაობა, რომელიც ბრძოლას აწარმოებს დანაშაულობასთან, მოაწყოს და უხელმძღვანელოს დამხმარე უჯრედებს, რომელნიც არსდებიან საწარმოსა და დაწესებულებასთან საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივისაგან იმისათვის, რათა რევილიუციონური კანონიერებისათვის კონტროლის გაწევის საქმეში ჩაბმულ იქნეს საბჭოთა ორგანიზებული საზოგადოებრიობა, რათა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში გამოარკვეულ იქნეს ნაკლოვანებანი და დარღვევანი და რათა აღმოუხვრილ და თავიდან აცილებულ იქნეს ეს ნაკლოვანებანი და დარღვევანი;

ვ) მონაწილეობა მიიღოს, სათანადო ორგანოებთან ერთად, შრომა-გასწორების სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებათა შემუშავებაში;

ზ) თვალყური ადევნოს სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციათ იურისკონსულტების მუშაობას, გაუწიოს საერთო ზედამხედველობა დამკველთა კოლეგიას და მშრომელი მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების ორგანიზაციას;

თ) იქონიოს საკანონმდებლო ინიციატივა საპროკურორო მუშაობის პრაქტიკის საფუძვლებზე, აგრეთვე უფლება შეიმუშაოს სათანადო კანონპროექტები და წარმართოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში;

ი) თვალყური ადევნოს განაჩენების აღსრულებას და განახორციელოს ყველა ის საპროკურორო ფუნქცია, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლებით;

კ) დაიცვას სახელმწიფოს და მშრომელთა ინტერესები სამოქალაქო საქმეებში.

## 10. საქართველოს სსრ პროკურორს დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატისა და სხვა ცენტრალური დაწესებულების და ორგანიზაციის მოქმედების კანონიერებას და შეიტანოს წინადადება მათ მიერ გამოცემული იმ განკარგულებისა, დადგენილებისა, ცირკულარისა, ბრძანებისა და სხვა საუწყებო აქტის გაუქმების ან შეცვლის შესახებ, რაც კანონთან შეთანხმებული არ არის;

ბ) განაპროტესტოს ზემოაღნიშნული განკარგულებანი, დადგენილებანი და სხვა აქტები, მათ გასაუქმებლად ან შესაცვლელად, სახალხო კომისართა საბჭოში ან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, თანაც აღძრას, საპიროგებისამებრ, საკითხი ზემოხსენებული აქტების აღსრულების შეჩერების შესახებ, ვიდრე მათ სახალხო კომისართა საბჭო ან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავდეს;

გ) განაპროტესტოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებანი;

დ) გაუწიოს საერთო ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ მთელი პროკურატურისა, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგა-

ნობებისა, აგრეთვე გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოების მუშაობას და განუმარტოს მათ ყველა ის საკითხი, რაც მათ მუშაობასთან იქნება დაკავშირებული;

ე) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა საწარმოსა და დაწესებულებებთან დაარსებულ დამხმარე უჯრედებს;

ვ) განახორციელოს ამა დებულების მე-9 მუხლის „ვ“ და „თ“ პუნქტში აღნიშნული ფუნქციები;

ზ) განახორციელოს უშუალოდ ადგილობრივი პროკურორის ფუნქციები იმ შემთხვევაში, როდესაც ეს რესპუბლიკის პროკურორის მიერ საჭიროდ იქნება ცნობილი.

11. რესპუბლიკის პროკურორი ყველა მისთვის მინიჭებულ უფლებას და დაკისრებულ მოვალეობას ანხორციელებს პირადად თვითონ, ან თავის თანამემწეთა და ყველა ხელქვეითი პროკურორის მეშვეობით.

12. რესპუბლიკის პროკურორი წელიწადში ერთხელ წარუდგენს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს რესპუბლიკის პროკურატურის მუშაობის ანგარიშს.

13. საოლქო პროკურორს დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს ხელისუფლების ყველა ადგილობრივი ორგანოს და საქართველოს სსრ ყველა ადგილობრივი დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაობას და შეიტანოს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტში წინადადება ამ უკანასკნელის ან მისი ხელქვეითი ორგანოს მიერ გამოცემული ისეთი განკარგულების ან დადგენილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ, რაც შეთანხმებული არ არის კანონთან;

ბ) განაპროტესტოს, რესპუბლიკის პროკურორის მეშვეობით, წინა პუნქტში აღნიშნული განკარგულება და დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში ან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, თანაც, სათანადო შემთხვევაში, აღძრას შუამდგომლობა ზემოაღნიშნული აქტების აღსრულების შეჩერების შესახებ, ვიდრე განიხილებოდეს;

გ) აღძრას თანამდებობის და კერძო პირთა წინააღმდეგ სასამართლო, სადისციპლინო ან საადმინისტრაციო წესით დევნა როგორც თავისი თაოსნობით, ისე პროკურატურაში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების მიხედვით;

დ) გაუწიოს უშუალო ზედამხედველობა გამოძიების ორგანოთა მუშაობას, აგრეთვე გაუწიოს მათ ხელმძღვანელობა და ინსტრუქტირება ყველა ისეთ საკითხზე, რაც დაკავშირებულია წინასწარ გამოძიებასთან;

ე) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა მოკვლევის ორგანოთა მუშაობას, აგრეთვე ხელმძღვანელობა გამოძიებულთა მუშაობას ისეთ საკითხებზე, რაც შეეხება გამოძიებულების უშუალო მეთვალყურეობას მოკვლევის ორგანოთა მიმართ;

ვ) თვალყური ადევნოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ადგილობრივ ორგანოთა მუშაობას განსაკუთრებული დებულების და ინსტრუქციის საფუძველზე;

ზ) გაუწიოს ზედამხედველობა სასამართლოს განაჩენების აღსრულებას და განახორციელოს საპროკურორო ზედამხედველობის ყველა ის ფუნქცია, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლებში;

თ) გაუწიოს ზედამხედველობა ყველა ადგილობრივ საპატიმრო ადგილს და იძულებით მუშაობის ბიუროს, აგრეთვე პატიმრობის კანონიერებას;

ი) გაუწიოს ზედამხედველობა ყველა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიული ნაწილებისა და ადგილობრივ სამქოთა ორგანოების იურისკონსულტების მუშაობას;

კ) მოაწიოს ადგილებზე დამხმარე უჯრედები, ადგილობრივ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და თანამდებობის პირთა მუშაობაში უკანონობის გამოსაშვარავებლად და გაუწიოს ამ უჯრედებს უშუალო ხელმძღვანელობა;

ლ) მოიწვიოს პერიოდულად თათბირები დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებზე;

მ) დაიცვას სახელმწიფოს და მშრომელთა ინტერესები სამოქალაქო საქმეებში.

14. საოლქო პროკურორი თავისი მუშაობის ანგარიშს წარუდგენს რესპუბლიკის პროკურორს ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ ვადაზე და წესით.

15. პროკურორს უფლება აქვს მოსთხოვოს მისი მოქმედების ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ხელისუფლების ყველა ორგანოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას და პირს ის ცნობები და მასალა, რაც კი საჭიროა მისი მუშაობისათვის; ამ მოთხოვნის შესრულება აღნიშნულ ორგანოთა, დაწესებულებათა და სხვებისათვის სავალდებულოა.

16. სახალხო კომისარიატები და სხვა ცენტრალური დაწესებულებანი ვალდებულ არიან დაუყოვნებლივ უგზავნონ რესპუბლიკის პროკურორს, ხუთ-ხუთ ცალად, ყველა თავისი ცირკულარი, ინსტრუქცია, ცირკულარული განკარგულება, ბრძანება და საუწყებო ბიულეტენი, როგორც მათ მიერ ადგილობრივ ორგანოთათვის გამოცემული, აგრეთვე ისეთიც, რასაც საუწყებო წესით მიიღებენ ა/კსფსრ და სსრ კავშირის სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური დაწესებულებებისაგან.

17. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, დაწესებულებები და თანამდებობის პირები ვალდებულ არიან დაუყოვნებლივ უგზავნონ საოლქო პროკურორს, ორ ცალად, მათ მიერ გამოცემული ყველა განკარგულება, ინსტრუქცია, ბიულეტენი და ბრძანება.

18. პროკურორს უფლება აქვს დაესწროს, სათათბირო ხმით, მისი მოქმედების ტერიტორიის ფარგლებში არსებული ყველა აღმასრულებელი კომიტეტისა და ხელისუფლების სხვა ორგანოს და დაწესებულების სხდომებს, აგრეთვე დაესწროს, სათათბირო ხმით, საწარმოო და ეკონომიურ თათბირებს, სარევიზიო კომისიის სხდომებს და სხვ..

## 73. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს

ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა შესახებ.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების სამოქმედოდ შემოღებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აგვისტოს 26-ის დადგენილება „მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დებუტატების საქალაქო საბჭოების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-3 №—ი, მუხ. 18).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მანარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მარტის 11.

ტფილისი—სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა შესახებ.

1. ადგილობრივი მნიშვნელობის ქონებად ითვლება ყველა ის სახელმწიფო ქონება, რაც სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სათანადო კანონმდებლობით მიკუთვნებული არ არის საერთო-საკავშირო, ფედერატიული ან რესპუბლიკანური მნიშვნელობის ქონებათათვის.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის ქონების განაწილება ან გარდანაწილება სხვადასხვა საფეხურის ადგილობრივ საბჭოებს შორის სწარმოებს შემდეგი წესით:

ა) საოლქო აღმასრულებელ კომიტეტსა და საოლქო ქალაქის საბჭოს შორის ან სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტსა და სამაზრო ქალაქებს შორის და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შორის ადგილობრივი მნიშვნელობის ქონება განაწილდება საოლქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით;

ბ) სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა და სასოფლო საბჭოებს შორის—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის ქონების ადგილობრივ საბჭოებს შორის განაწილება და გარდანაწილება სწარმოებს შემდეგ ნიშნეულობათა მიხედვით:

ა) ადგილობრივი ქონების ან საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით;  
 ბ) იმ რაიონის მიხედვით, რომელსაც მომსახურებას უწყევს უწყებული ადგილობრივი ქონება ან საწარმო, ან სადაც სალდება ამ ქონების პროდუქცია და მზადდება ნედლი მასალა;

გ) იმისდამიხედვით, თუ რომელი ორგანო უფრო მეტურნობრივად მიზან-შეწონილ ადმინისტრირებას გაუწყევს და სათანადოდ გამოიყენებს ქონებას და საწარმოს.

**შენიშვნა.** აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილება ადგილობრივი ქონების განაწილების შესახებ შეიძლება განსაზღვრებულ იქნეს უმაღლეს ინსტანციებში საერთო წესით.

4. სათანადო ადგილობრივი საბჭოს გამგებლობიდან ადგილობრივი მნიშვნელობის ქონების ამორთმევა და რესპუბლიკანური, ფედერატიული ან საერთო-საკავშირო ქონებათათვის მიკუთვნება შეიძლება მოხდეს მარტოდენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ან ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნით, ან სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით და ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნით.

5. დადგენილება ადგილობრივი მნიშვნელობის ქონების გარდანაწილებისა და დადგენილება ადგილობრივი ქონების ამორთმევის შესახებ (მუხ. 2, 3 და 4) სამოქმედოდ შემოიღება უახლოეს საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან, იმ პირობით, რომ ეს დადგენილებები გამოქვეყნებულ იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე ოთხი თვით ამ ვადამდე. ხოლო ის დადგენილება, რომელიც საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ოთხ თვეზე გვიან იქნება გამოქვეყნებული, სამოქმედოდ შემოიღება მისი მომდევნო საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან.

6. ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიანთ:

ა) აწარმოონ მათ გამგებლობაში გადაცემული მიწისა, საწარმოს და სხვა ქონების ექსპლუატაცია როგორც საბიუჯეტო წესით, ისე კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე;

ბ) მოაწიონ ახალი საწარმონი;

გ) გაასხვისონ მათ განმგებლობაში მოქცეული ქონება, სახელმწიფო ქონებათა გასხვისების კანონის თანახმად, და გასცენ ქონება იჯარით.

**შენიშვნა 1.** კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე მომქმედ ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა მოწყობისა და მოქმედების წესი განისაზღვრება სსრ კავშირისა, ა/კსფსრ და საქართველოს სსრ განსაკუთრებული კანონებით.

**შენიშვნა 2.** ადგილობრივი მნიშვნელობის ქონების საკონცესიოდ გაცემის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული კანონებით.

7. დამოუკიდებელი ბიუჯეტის მქონე ადგილობრივ საბჭოს შეუძლიან აიღოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხი ამა დებულების ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნული წესების დაცვით.



8. გრძელვადიანი სესხის აღება შეიძლება როგორც სსრკ-ის ფარგლებში, ისე საზღვარგარედ მხოლოდ მტკიცედ განსაზღვრული დანიშნულებისათვის და მარტოდენ კაპიტალური ხარჯების გასაწევად ადგილობრივი საბჭოს კუთვნილი ქონებისა და საწარმოს მოწყობისა, გაფართოებისა და აღდგენისათვის; სესხი აიღება ერთ წელიწადზე მეტი ვადით.

მოკლევადიანი სესხი აიღება როგორც ზემოაღნიშნული მიზნებისათვის, ისე ადგილობრივი საბჭოს საბრუნავი სახსარის გასაძლიერებლად; მოკლევადიანი სესხი აიღება ვადით არა უმეტეს 12 თვისა და აუცილებლად დაიფარება იმავე საბიუჯეტო წელს.

სესხს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულება. ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად სესხის აღება არ შეიძლება.

9. სესხი აიღება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო ან სასოფლო საბჭოს ვალდებულებით და ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის გარანტიით.

10. ყოველ წელს აღებული სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს: გრძელვადიანი სესხისა—უწყებელი საბჭოს ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შემოსავლის  $\frac{1}{5}$ , ნაწილს, ხოლო მოკლევადიანი სესხის—იმავე საბჭოს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის  $\frac{1}{10}$  ნაწილს. ამაზე დიდი რაოდენობის სესხის აღება შეიძლება მხოლოდ საოლქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით, უკეთუ ნორმაზე მეტ სესხს იღებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ან სასოფლო საბჭო, და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, უკეთუ ასეთ სესხს იღებს საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი, საოლქო ქალაქის საბჭო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი.

11. უკეთუ საპიროება მოითხოვს, ახალი სესხის აღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წინა აღებული სესხისა და პროცენტების და ახლად აღებული სესხის საერთო თანხა არ აღემატება იმ განსაზღვრულ ნორმას, რაც გათვალისწინებულია ამ დებულების წინა (10) მუხლით.

12. აღებული სესხის ვალდებულება გაიცემა სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა, საქალაქო ან სასოფლო საბჭოს სახელით და სპეციალური დადგენილებით უფლებამოსილი პირისა და საფინანსო ორგანოს გამგის ხელმოწერით, ხოლო იქ, სადაც საფინანსო ნაწილი გამოყოფილი არ არის,—სოფლის საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

13. სესხით შემოსული თანხა შეიტანება ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში, ხოლო სესხისა და პროცენტების გასასტუმრებელი თანხა—იმავე ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში პირველ რიგში გადასახდელი სახარჯო მუხლის სახით.

14. უკეთუ სესხის ვალდებულება პირიანად არ იქნება შესრულებული, კრედიტორის პრეტენზია განიხილება სასამართლო წესით. სასამართლოს გადაწყვეტილება, სასამართლოს აღმსრულებლის მეშვეობით, გაეგზავნება იმ აღმასრულებელი კომიტეტის ან საბჭოს საფინანსო განყოფილებას, რომელმაც სესხი აიღო. უკეთუ სესხი აღსრულებულ არ იქნება სასამართლოს დადგენილების თანახმად, გადახდებულებულს უფლება აქვს სთხოვოს სასამართლოს გამოიტანოს და-

დგენილება იძულებითი გადახდევინების შესახებ. სასამართლო წინადადებას აძლევს საფინანსო განყოფილებას ან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს (მუხ. 12) წარმოუდგინოს მას ცნობა სათანადო სალაროს ხელთქონებულობისა და ადგილობრივი ბიუჯეტის საკასო აღსრულების გეგმის შესახებ.

15. სასამართლოს უფლება აქვს დააკისროს სათანადო ადგილობრივ საბჭოს ან აღმასრულებელ კომიტეტს:

ა) შეიტანოს ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში ის თანხა, რაც საჭიროა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი გადასახდელის დასაფარავად;

ბ) მისცეს კრედიტორს ასიგნობა-ჩეკი სასამართლოს მიერ მის სასარგებლოდ გადაწყვეტილ თანხაზე, ეს ასიგნობა-ჩეკი განაღდებულ უნდა იქნეს დადგენილი წესისამებრ.

16. საზღვარგარედ სესხის აღება და საობლიგაციო სესხის აღება ადგილობრივ საბჭოს შეუძლიან მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, არსებული წესისამებრ, წარდგენით.

17. ადგილობრივი საბჭო მის მიერ აღებული სესხისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი შემოსავლით და მის გამგებლობაში გადაცემული ისეთი ქონებით, რაზედაც, სსრ კავშირისა, ა/კსფსრ და საქართველოს სსრ მომქმედი კანონების თანახმად, შეიძლება მიიქცეს გადახდევინება.

საერთო-სახელმწიფო ხაზინა ადგილობრივი საბჭოების მიერ აღებული სესხისათვის პასუხს არ აგებს.

18. ადგილობრივ საბჭოს შეუძლიან სესხი აიღოს აგრეთვე ცალკეული შემოსავლის ან ქონების გარანტიით, რაც ზედმიწევნით აღინიშნება სესხის ხელშეკრულებაში; ამასთანავე დაცულ უნდა იქნეს სსრ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის კანონები სახელმწიფო ქონების დაგირავების შესახებ.

აღებული სესხის უზრუნველსაყოფად განკუთვნილი შემოსავლის გამორიცხვა საბიუჯეტო გარდანაწილების წესით არ შეიძლება სესხის სრულად დაფარვამდე.

19. სესხით მიღებული თანხების არამიზნობრივი დანიშნულებისამებრ დახარჯვისათვის დამნაშავე პირი პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხ. მიხედვით.

20. ადგილობრივი საბჭოს ქონების იჯარით გაცემა (მე-6 მუხლის „გ“ პუნ.) სწარმოებს იმ საფუძველზე და იმ წესისამებრ, რაც დადგენილია სახელმწიფო ქონებათა იჯარით გაცემისათვის.

21. საიჯარო სასყიდელს განსაზღვრავს ადგილობრივი საბჭო; სასყიდელი გამოიანგარიშება მხოლოდ ფულადი ფორმით.

22. უკეთუ მოიჯარადრე თავს არიდებს საიჯარო სასყიდლის გადახდას, ეს სასყიდელი და სათანადო საურავი გადახდევინებულ უნდა იქნეს სასამართლოს წესით.

23. ისეთი ცალკეული ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის გაუქმების დროს, რომელიც დავალიანებულია სესხით, პასუხისმგებლობა ამ სეს-

ხისათვის გადაიტანება მთლად იმ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის ადგილობრივ საბჭოზე, რომლის შედგენილობაშიაც შევა გაუქმებული ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეული მთელი თავისი ქონებით და საწარმოთი.

## 74. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის შევსებისა და შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 64 და 367 მუხლებს დაემატოს შენიშვნები შემდეგი შინაარსისა:

„**64 მუხ. შენიშვნა.** საზღვაო ნავტურკლის მესაკუთრის მიერ უპირატესობით ყიდვის უფლება და წესი გათვალისწინებულია სსრ კავშირის სავაჭრო-საზღვაო ნაოსნობის კოდექსში (სსრ კავშ. კან. კრ. 1929 წ. 41 №-ი, მუხ. 366)“.

„**367 მუხ. შენიშვნა.** საზღვაო დაზღვევის წესები გათვალისწინებულია სსრ კავშირის სავაჭრო საზღვაო ნაოსნობის კოდექსში (სსრ კავშ. კან. კრ. 1929 წ. 41 №-ი, მუხ. 366)“.

2. იმავე კოდექსის 90 მუხლის მე-2 შენიშვნა და 181 მუხლის 1 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**90 მუხ. შენიშვნა 2.** სსრკ-ის ბაირალით მცურავი საზღვაო ნავტურკლის დაგირაგება მოწესრიგდება სსრ კავშირის სავაჭრო საზღვაო ნაოსნობის კოდექსით (სსრ კავშ. კან. კრ. 1929 წ. № 41, მუხ. 366)“.

„**181 მუხ. შენიშვნა 1.** გასაბჭოებამდე მოპრილი ოქროს და ვერცხლის ფულისა და უცხოეთის ვალიუტის, აგრეთვე სსრ კავშირის ბაირალით მცურავი საზღვაო ნავტურკლის ყიდვის უფლება მოწესრიგდება განსაკუთრებული წესებით და სსრ კავშირის სავაჭრო საზღვაო ნაოსნობის კოდექსით“.

3. იმავე კოდექსის 22 მუხლის დანართის მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხ. 6.** მოამქმედი სამრეწველო დაწესებულება და, იმ შემთხვევაში, უკეთეს არ არსებობს მე-3 მუხლში აღნიშნული პირობა, აგრეთვე საზღვაო ნავტურკელიც შეიძლება გასხვისებულ იქნეს საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციათა და კერძო პირთა საკუთრებად მხოლოდ იმ წესითა და იმ პირობებით, რაც ყოველ ცალკე შემთხვევაში განსაზღვრულ იქნება, კუთვნილებისამებრ, საქართველოს სსრ-ისა, ა/კსფსრ-ისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით. ამავე წესით შეიძლება ამა მუხლში აღნიშნული საზღვაო ნავტურკლის დაგირაგება“.

4. იმავე კოდექსის 22 მუხლის დანართს დაემატოს მე-8<sup>1</sup> მუხ. შემდეგი შინაარსისა:

„**მუხ. 8<sup>1</sup>.** უკეთეს გასხვისებულ უნდა იქნეს ისეთი ორგანოს კუთვნილი საზღვაო ნავეჭურჭელი, რომელიც გზათა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში არ არის, გასხვისების ნებართვას იძლევა სათანადო ორგანო (მუხ. 8) გზათა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-  
ბელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-  
სრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1930 წ. მარტის 11.

ტფილისი—სასახლე.

## 75. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 265 მუხლის მე-2 უნიშვნის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 265 მუხლის მე-2 უნიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**უნიშვნა 2.** რწმუნებულობისათვის სსრკ-ის სახელმწიფო ბანკსა და სახელმწიფო შრომითი შემნახველ სალაროში ოპერაციების საწარმოებლად საგაღდებულო არ არის სანოტარო წესით შემოწმება“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-  
ლებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა სა-  
ბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-  
სრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1930 წ. მარტის 11.

ტფილისი—სასახლე.

## 76. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 324 მუხლის შეცვლისა და იმავე კოდექსის მე-X თავის მე-5 კარისათვის მე-IX განყოფილების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

## I.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 324 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი ედაქციით:

„მუხ. 324. სახელმწიფო სააქციო საზოგადოებად ითვლება ისეთი სააქციო საზოგადოება, რომლის წესდებითაც გათვალისწინებულია: ა) რომ საზოგადოების ყველა აქცია უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფო დაწესებულებათ ან საწარმოთ, ან ბ) რომ სახელმწიფო დაწესებულებათ ან საწარმოთ უნდა ეკუთვნოდეს არა ნაკლებ საზოგადოების ყველა აქციის ორი მესამედისა, ხოლო დანარჩენი აქციები შეიძლება ეკუთვნოდეს იმ შერეულ სააქციო საზოგადოებათ, რომელთა აქციების საერთო რიცხვის ნახევარი მაინც, მათი წესდებით, სახელმწიფო აქციებია.

შერეულ სააქციო საზოგადოებად ითვლება ისეთი სააქციო საზოგადოება, რომლის წესდებით გათვალისწინებულია: ა) რომ სახელმწიფო დაწესებულებათ ან საწარმოთ უნდა ეკუთვნოდეს არა ნაკლებ ვიდრე საზოგადოების აქციების საერთო რიცხვის ნახევარი, ან ბ) რომ აქციების განსაზღვრული რიცხვი უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფო დაწესებულებათ ან საწარმოთ, ხოლო დანარჩენი აქციები შეიძლება ეკუთვნოდეს კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და შერეულ სააქციო საზოგადოებებს.

კოოპერატიულ სააქციო საზოგადოებად ითვლება ისეთი სააქციო საზოგადოება, რომლის წესდებითაც გათვალისწინებულია, რომ ყველა აქცია უნდა ეკუთვნოდეს კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

**შენიშვნა.** ამა მუხლით კოოპერატიულ ორგანიზაციად იგულისხმება ისეთი კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც შედის სათანადო კოოპერატიულ სისტემაში.

## II.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-X თავის მე-5 კარს დაემატოს მე-IX განყოფილება „კოოპერატიული სააქციო საზოგადოება“ (მუხ. 366<sup>100</sup>—366<sup>102</sup>) შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 366<sup>100</sup>. კოოპერატიულ სააქციო საზოგადოებებზე (324 მუხლის მესამე ნაწილი) ვრცელდება კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის დადგენილი საერთო კანონები. იმ კოოპერატიულ სააქციო საზოგადოებებზე, რომელიც აერთიანებს ერთი სისტემის კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ვრცელდება ამ სისტემის კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის დადგენილი კანონები. ხოლო კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათები კოოპერატიულ სააქციო საზოგადოებებზე არა ვრცელდება, იმ შემთხვევის გარდა, რაც სპეციალურად კანონით არის გათვალისწინებული“.

„მუხ. 366<sup>101</sup>. კოოპერატიული სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი არ შეიძლება იყოს 50.000 მანეთზე ნაკლები“.

„მუხ. 366<sup>102</sup>. კოოპერატიული სააქციო საზოგადოების აქციების ვისმეზე გასხვისება, თუ არა კოოპერატიულ ორგანიზაციაზე, არ შეიძლება ამ გასხვისების ბათილობის რიდით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
 თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრაია.

1930 წ. მარტის 11.  
 ტფილისი—სასახლე.

## 77. დადგენილება ც. ა. ძ. და ს. ძ. ს.

„საკრედიტო-კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხთა უდავო გადახდევინების წესის დამყარების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებების 1-ლი მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

„საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხთა უდავო გადახდევინების წესის დამყარების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 2 №-ი, მუხ. 20) 1-ლ მუხლს დაემატოს პუნქტი „გ“ შემდეგი შინაარსისა:

„გ) ისეთი სესხისათვის, რაც გადახდევინებული უნდა იქნეს ვადამდე მსესხებლის მიერ ამ სესხის არა დანიშნულებისამებრ გამოყენების გამო ან არა სათანადო პირისათვის მიცემის გამო (შეძლებული და კულაკური ელემენტი-

სათვის და ისეთი პირისათვის, ვისაც სოფლის მეურნეობასთან კავშირი არა აქვს“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-  
 ლებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
 საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-  
 სრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. მარტის 11.  
 ტფილისი—სასახლე.

## 78. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„ოთხფეხი საქონლის ფარულად დაკვლის აღმომჩენთა გასამრჯელოსი და ხორცის მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ფარულად დაკლული საქონლის პროდუქტების გადაცემის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ოთხფეხი საქონლის ფარულად დაკვლის აღმომჩენთა გასამრჯელოსი და ხორცის მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ფარულად დაკლული საქონლის პროდუქტების გადაცემის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 28-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 22) 1-ლი მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. იმ პირს, ვინც აღმოაჩენს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ფარულად საქონლის დაკვლას (სხვათა შორის—ლორისაც) ან ისეთი ხორცის გაყიდვას, რასაც სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის დალი არ ექნება, უნდა მიეცეს გასამრჯელო მთლად აღმოჩენილი ხორცის ღირებულების 20<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ის რაოდენობით საბითუმო მტკიცე ფასის თანხმად“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
 რულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
 თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
 რულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. მარტის 11.  
 ტფილისი—სასახლე.

## 79. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა გადაუხდელობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.**

რათა ბრძოლა გაეწიოს სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა ბოროტი განზრახვით გადაუხდელობას და აგრეთვე ამ გადასახადთა და გამოსაღებთა იძულებით გადახდევინების ასაცილებლად გამამხდელეების მიერ თავიანთი ქონების ვადამაღვას, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. იმ პირთა ქონება, რომელნიც თავიანთ ხვედრ სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადსა და გამოსაღებს ბოროტი განზრახვით არ იხდიან, გამოცხადებულ იქნეს დაყადაღებულად ნასყიდობისა, დაგირავებისა და სხვაგვარი გარიგებისათვის, სულ ერთია, სადაც უნდა იყოს ეს ქონება და რაშიაც უნდა გამოიხატებოდეს იგი, იმ დრომდე, ვიდრე ამ ქონების პატრონი მთლად არ გადაიხდის თავისი ხვედრი გადასახადისა და გამოსაღების ნარჩენს.

2. აეკრძალოს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოს და კერძო პირს (იურიდიულსა და ფიზიკურს) იმ პირთათვის, ვინც სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადსა და გამოსაღებს ბოროტი განზრახვით არ იხდის, მათი ხვედრი ფულადი თანხებისა და ქონების მიცემა საოლქო თუ სამაზრო საფინანსო განყოფილების უნებართვოდ თვითულ ცალკე შემთხვევაში.

3. იმ პირთა სიას, ვინც სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადსა და გამოსაღებს ბოროტი განზრახვით არ იხდის, საოლქო და სამაზრო საფინანსო განყოფილებანი გამოაქვეყნებენ საყოველთაო ცნობისათვის პერიოდულად, ხოლო წელიწადში ორჯერ მაინც, გაზეთ „კომუნისტში“ და სხვა ბეჭდვითს ორგანოში, აგრეთვე გააკრავენ კედლებზე ქუჩებში, მოედნებზე, მთავრობის დაწესებულებებში, სავაჭრო დაწესებულებებში, სანოტარო კონტორებში და სხვ.

4. დაევალოს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე კერძო პირს (იურიდიულსა და ფიზიკურს) განაცხადოს ხოლმე სათანადო საგადასახადო ორგანოს ყველა ის შემთხვევა, როდესაც მის ხელთ იქნება შესაძლებელი თუ დროებითი სარგებლობისათვის გირავნობისა, იჯარისა, ქირავნობისა და სხვა ხელშეკრულებით, იმ პირთა ქონება, რომელნიც სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადსა და გამოსაღებს ბოროტი განზრახვით არ იხდიან და რომელნიც დასახელებულ იქნებიან ამა დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ გამოქვეყნებულ სიებში; აგრეთვე უნდა აცნობოს იმავე ორგანოს ის ფულადი თანხები, რაც ზემოაღნიშნულ პირთ ერგებათ, და ამ ფულადი თანხების, ვაცემის ვადა.

5. აეკრძალოს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოს იმ პირებთან, ვინც სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადსა და გამოსაღებს ბოროტი განზრახვით არ იხდის, ყოველგვარი



ქონებრივი ხელშეკრულებისა და გარიგების დადება ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინასწარი ნებართვის გარეშე თვითიველ ცალკე შემთხვევაში.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს: თანამდებობის პირი, გარემოებისადაგვარად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 115 და 117 მუხლებისა, ხოლო კერძო პირი — 63 მუხ. 1-ლი ნაწილის თანახმად.

ის ქონება, რასაც ზემოაღნიშნული დაწესებულებანი და საწარმონი, აგრეთვე კერძო პირნი შეიძენენ ან მიიღებენ გირაოდ, შესანახად თუ დროებითი სარგებლობისათვის იმ პირთაგან, რომელნიც სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების ბოროტი განზრახვით გადაუხდელობისათვის ზევით გათვალისწინებულ სივრცეში იქნებიან დასახლებულნი, შეკრულ უნდა იქნეს, რათა ამ ქონებაზე მიიქცეს ხსენებულ პირთა ბოროტი განზრახვით გადაუხდელი გადასახადისა და გამოსაღების ნარჩენის იძულებითი წესით გადახდევინება.

7. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკის პროკურორთან შეთანხმებით, გამოსცეს 10 დღის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

8. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-

სრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მარტის 11.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 60 №-ში 1930 წ. მარტის 15.

## 80. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა უკიდურესი განაკვეთების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა უკიდურესი განაკვეთების შესახებ“ 1929 წ. აპრილის 3-ის თარიღით გამოცემული დადგენილებით დამტკიცებული ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა და მათ უკიდურეს განაკვეთთა ნუსხის მე-7 №-ის 1-ლი და მე-2 მუხლების შესაცვლელად (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-ი,



მუხ. 81) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შემოღებულ იქნეს ადგილობრივი გამოსაღების გადახდევინება რესტორანებში და სასადილოებში წარდგენილ ანგარიშებზე 15%-ის რაოდენობით ანგარიშში აღნიშნულ თანხაზე, უკეთეს ეს თანხა აღემატება თითო მომხმარებელზე ორ მანეთს.

2. შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ ყველა ადგილას იმავე გამოსაღების გადახდევინება სასტუმროების ანგარიშებზე 15%-ის რაოდენობით ანგარიშში აღნიშნულ თანხაზე, უკეთეს ეს თანხა აღემატება სამ მანეთს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1930 წ. მარტის 11.  
ტიფლისი—სახალხო.

## 81. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**ბინებში იძულებით შემჭიდროებისა და გადასახლების შეზღუდვის შესახებ.**

იმ ღონისძიებათა შეზღუდვისათვის, რაც ამჟამად იხმარება ბინების ისეთ დამქირავეებელთა გადასახლებლად ან შესამჭიდროებლად, რომელთაც დაწესებულ ნორმაზე მეტი საცხოვრებელი სივრცე უჭირავთ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აიკრძალოს მოქალაქეთა იძულებით შემჭიდროება და გადასახლება, ოთახების შიგნით გატიხვრა ან სხვაგვარად გარდაგეგმვა ოთახშიგნითი ზედმეტი სივრცის ჩამოსართმევად, რა ზომისაც უნდა იყოს ეს ზედმეტი სივრცე ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნული შემთხვევების გამოკლებით.

2. უფლება მიეცეს ყველა, გამოუკლებლად, სახლის სამოურაოს მოსთხოვოს, სასამართლოს წესით, საცხოვრებელი სადგომის დამქირავეებს ზედმეტი არაგასავლელი ოთახი, რომელსაც შესასვლელი ცალკე აქვს.

ზედმეტი საცხოვრებელი სივრცე გამოიანგარიშება დამქირავებლის მთელ ოჯახზე.

**შენიშვნა.** ამა დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 შენიშვნებში აღნიშნული წესები შეფარდებულ უნდა იქნეს ამა მუხლის წესისამებრ ზედმეტი არაგასავლელი ოთახის ჩამორთმევის დროსაც.

3. რათა დამქირავებელს ჩამოერთვას ზედმეტი საცხოვრებელი სივრცე, შეიძლება ზედმეტი გასავლელი ოთახი გადაკეთებულ იქნეს არაგასავლელ ოთა-

ხად, უკეთეს ამისათვის არსებობს სამეურნეო-ტექნიკური შესაძლებლობა, და ეს გადაკეთება შეიძლება სასამართლოს დადგენილებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთელი გასავლელი ოთახი შეადგენს ზედმეტ სივრცეს. გადაკეთების ხარჯს გაიღებს სახლის სამოურაო.

უკეთეს ზედმეტი გასავლელი ოთახის არაგასავლელ ოთახად გადაკეთება შეუძლებელია, იგი გაეთანაბრება ოთახშიგნით ზედმეტ სივრცეს და ასეთი ოთახიდან გამოსახლება, მასში ჩასახლება ან შემკიდროება არ შეიძლება.

4. ისეთი გასავლელი ოთახის არაგასავლელ ოთახად გადაკეთება, რომელიც არაფრით არ არის დაკერილი, უკეთეს ამ ოთახზე მავალი მდგმურები ამის თანახმანი არ არიან, შეიძლება სასამართლო ორგანოს დადგენილებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ოთახის გადაკეთება გამართლებულია სამეურნეო-სატექნიკო და სასანიტარო თვალსაზრისით და თანაც მდგმურებს არ უძნელებს შესვლა-გასვლას.

5. ისეთ ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში, სადაც საცხოვრებელი სივრცე მიცემული აქვთ ამ სახლებში მოთავსებულ დაწესებულებასა ან საწარმოთა მომუშავეთ, მათი მუშაობისა თუ სამსახურის ხასიათის მიხედვით, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებაზე და მის თანაბარ დაწესებულებათა და საწარმოზე, არსებული წესისამებრ, მიმაგრებულ სახლებში და სამანევრო ფონდის სახლებში ზედმეტი სივრცის ჩამოსართმევად, რათა ეს სივრცე გამოყენებულ იქნეს დაწესებულების საჭიროებისათვის ან მიეცეს საცხოვრებლად ამ დაწესებულებისა თუ საწარმოს მომუშავეთ, მათი მუშაობისა თუ სამსახურის ხასიათის მიხედვით, ხოლო სამანევრო ფონდის სახლებში, საერთოდ, განთავისუფლებული საცხოვრებელი სივრცის მიზანშეწონილად გამოყენებისათვის, შეიძლება იძულებითი შემკიდროება ზედმეტი ოთახის ჩამორთმევით, ბინის გადაკეთებით ან გადასახადებით იმავე სახლის ფარგლებში, იმ პირობით კი, რომ შემკიდროებულ პირს მიეცეს სხვა სათანადოდ გამოსაყენებელი და მოხერხებული ბინა, დაწესებული ნორმის მიხედვით, იმ დაწესებულებისა თუ საწარმოს ანგარიშზე, რომლისთვისაც თავისუფლდება ეს საცხოვრებელი სივრცე.

იძულებითის შემკიდროებას და გადასახლებას ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მოახდენს ადმინისტრატიული წესით მილიციის ორგანო იმ დაწესებულებისა თუ საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს განცხადების თანახმად, რომელზედაც მიმაგრებულია სახლი.

**შენიშვნა 1.** უკეთეს გამოსასახლებელი და გამომსახლებელი ვერ შეთანხმდნენ პირველისათვის ახლად მისაცემი საცხოვრებელი სივრცის ვარგისობის და მოხერხებულობის თაობაზე, საკითხს გადასწყვეტს სასანიტარო-სატექნიკო კომისია.

**შენიშვნა 2.** ამა დადგენილების მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებულ იძულებითი შემკიდროებისა და გადასახლების შემთხვევაში არ შეიძლება ერთ ოთახში ჩასახლებულ იქნენ სხვა სქესის პირნი, გარდა ცოლქმრისა და ბავშვებისა 10 წლამდე; აგრეთვე არ შეიძლება ვისიმე ისეთ პირობებში ჩაყენება, რომ მას ერთად ცხოვრება მოუხდეს ისეთი სენით დაავადებულთან, რაც გადამდებლობის საფრთხეს წარმოადგენს, ან რაც

შეუძლებლად ჰხდის ავადმყოფთან ერთად ცხოვრებას. აღნიშნულ სენთა სიას დაადგენს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

**შენიშვნა მ.** აღნიშნულ სახლებში შემკვიდროებისა და გადასახლების დროს ანგარიშში არ მიიღებიან ის პირნი, რომელნიც ჩასახლდნენ დროებით საცხოვრებლად და რომელთაც არა აქვთ საცხოვრებელი სივრცის დაქერის დამოუკიდებელი უფლება.

6. ზედმეტი ოთახშიგნითი სივრცის ჩამოსართმევად იმ არამშრომელი კატეგორიის პირისათვის, ვისიც საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი 3.000 მან. არ აღემატება წელიწადში და ვინც ასეთ ნაციონალიზებულ ან მუნიციპალიზებულ სახლში სცხოვრობს, რომლის ექსპლოატაციას ეწევა უწყება ან ადგილობრივი საბჭო უშუალოდ ან-და საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა—იჯარის საფუძველზე, ასეთი სახლის სამოურაოს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლო წესით აღნიშნული მდგომარის როგორც გადასახლება ამ სამოურაოს გამგებლობაში ქონებული სახლების ფარგლებში, სხვა ბინის მიცემით დაწესებული ნორმის თანახმად, ისე შემკვიდროება ბინის გადაკეთებით.

7. ამა დადგენილების მე-2 მუხ. გათვალისწინებული იძულებითი ჩამორთმევა ოთახებისა, აგრეთვე მიმაგრებული სახლებისათვის ამავე დადგენილების მე-5 მუხლით დაწესებული იძულებითი შემკვიდროება და გადასახლება არა ვრცელდება იმ დამატებითს ოთახზე და საცხოვრებელ სივრცეზე, რაც არსებული კანონების თანახმად, ეძლევათ მშრომელთა ზოგიერთ კატეგორიებს.

8. იმ სახლებში, რომლებზედაც დადებულია აღნაგობისა, დაშენებისა და გადაკეთების უფლების ხელშეკრულება, არ შეიძლება ამა დადგენილებით გათვალისწინებული შემკვიდროება, ზედმეტი არაგასაყვლი ოთახის ჩამორთმევა და გადასახლება.

9. გაუქმებულ იქნეს „საცხოვრებელი სადგომების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 26-ს დეკრეტის მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტი (კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-ი, მუხ. 20).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ძდივანი **ხ. თოდრაია.**

1930 წ. მარტის 11.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს მე-77-№-ში 1930 წ. აპრილის 5.

## 82. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„დაპერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების თაობაზე“ გამოცემული საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის მე-2 მუხლისათვის „კ“ პუნქტის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„დაპერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის (კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 53) მე-2 მუხლს დაემატოს „კ“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა;

„კ) იმ სახლიდან, რომელიც გაიყიდება საჯარო ვაჭრობით „სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადის მენარჩენეთა ქონების აწერისა, შეკვრისა და გაყიდვის წარმოების წესებით“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 2) გათვალისწინებული წესისამებრ, შენობის ყოფ. მესაკუთრისა მისი ოჯახის წევრებითა და მის რჩენაზე მყოფი პირებითურთ, უკეთუ ისინი მოსახლეობის არამშრომელ კატეგორიას ეკუთვნიან; თანაც მათ გამოსახლებისათვის უნდა მიეცეთ ვადა არა ნაკლებ ერთი თვისა“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მარტის 11.  
 ტფილისი—სასახლე.

## 83. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ეზოს მუშათა შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს ქალაქის საბჭოებს, სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესით, შემოიღონ ქალაქებში ეზოს მუშათა ინსტიტუტი.

2. საქალაქო საბჭოს სავალდებულო დადგენილებაში ეზოს მუშათა შესახებ განსაზღვრულ უნდა იქნეს:

ა) იმ სახლმფლობელობათა კატეგორიები, რომელნიც ვალდებული არიან იყოლიონ ერთი ან რამდენიმე ეზოს მუშა;

ბ) იმ სახლმფლობელობათა კატეგორიები, რომელთაც შეუძლიანთ იყოლიონ ერთი ან რამდენიმე საერთო ეზოს მუშა;

გ) ის სივრცე კვადრატული მეტრებით, რასაც მოსამსახურეობა უნდა გაუწიოს ერთმა ეზოს მუშამ.

3. სამუშაოს/ეზოს მუშათა შორის გაანაწილებენ სახლმფლობელობანი სარაიონო მილიციასთან შეთანხმებით, დაწესებული სამომსახურეო მეტრაჟის მიხედვით.

4. ეზოს მუშად შეიძლება იყენენ მუშაობისათვის ფიზიკურად გამოსადეგი მოქალაქენი ორივე სქესისა, 18 წლისაზე არა უმცროსი, რომელთაც იციან წერა-კითხვა ამა თუ იმ ადგილას სახმარებელ ერთ-ერთ ენაზე.

5. ეზოს მუშა შეიძლება მიღებულ იქნეს სამუშაოზე მხოლოდ მილიციის სათანადო ორგანოს თანხმობით.

6. საქალაქო საბჭოს უფლება ეძლევა გადასინჯოს სამუშაოზე მყოფ ეზოს მუშათა სია ისეთ პირთა დასათხოვნად, რომელნიც თავის დანიშნულებას არ შეეფერებიან. სიების გადასინჯვის წესი შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო პროფესიონალურ კავშირთან.

**შენიშვნა.** უკეთეს ეზოს მუშა დათხოვნილ უნდა იქნეს წერა-კითხვის უცოდინარობის გამო, მას წინასწარ უნდა დაენიშნოს სათანადო ვადა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

7. ადმინისტრატიულის მხრით ეზოს მუშები ექვემდებარებიან საქალაქო საბჭოების სათანადო ორგანოებს.

8. ეზოს მუშას, სხვათა შორის, დაეკისრება სათანადო შემთხვევაში დახმარება გაუწიოს მილიციას.

9. ეზოს მუშათა მოვალეობანი და მათ მიერ სამსახურის გაწვევისა და ფორმის ტანსაცმელის თუ განმასხვავებელი ნიშნების ტარების წესი უფრო დაწვრილებით განისაზღვრება საქალაქო საბჭოების მიერ შრომის სახალხო კომისარიატთან და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

10. ეზოს მუშას სამსახურის დროის განმავლობაში ეძლევა უსასყიდლოდ საცხოვრებელი სადგომი, ხოლო სასყიდელი კომუნალური მომსახურეობისათვის გაღებულ უნდა იქნეს სახლის სამოურაოს სახსარიდან.

**შენიშვნა 1.** უკეთეს სახლში ეზოს მუშისათვის სადგომი არ მოიპოვება, სახლის სამოურაოდ გადაიხდის ეზოს მუშის ბინის ქირას მის საცხოვრებელ ადგილას.

**შენიშვნა 2.** უკეთეს ეზოს მუშა დათხოვნილ იქნება ან ნებაყოფლობით დაანებებს თავს სამსახურს, მან უნდა გაანთავისუფლოს მის მიერ დაკერილი საცხოვრებელი სადგომი ორი კვირის განმავლობაში დღიდან

დათხოვნისა; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოსახლებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული წესით (სამოქ. სამ. კოდ. 172 მუხლის დანართის მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მარტის 11.  
ტფილისი—სასახლე.

#### 84. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხ. შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1 №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხ. მიღებულ ექნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 60. გადასახადის ან საეალღებულო საგადანაკვეთო დაზღვევის გადასახდელის გაუღებლობა დაწესებულ ვადაზე, იმისდაიუხვებდავად, რომ დამნავეს ჰქონდა გადახდის შესაძლებლობა და უკეთუ მას წარსულ საგადანახადო წელს თუნდაც ერთხელ მაინც, ხოლო მიმდინარე წელს ორჯერ უკვე შეეფარდა გადახდევინების ღონისძიება ქონების აღწერის სახით ან აღწერილი ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის სახით, გამოიწვევს ჯარიმას, რაც არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელის ათჯერად რაოდენობას.

იგივე ქმედობა, ჩადენილი ხელმეორედ, ან რამდენიმე გამაზხდელის ურთიერთ შორის წინასწარი შეთანხმებით, ან უკეთუ გადაუხდელი თანხა ორი ათას მანეთს აღემატება,—

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე ქონების ნაწილის კონფისკაციით ან ჯარიმით, რაც არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელის ათჯერად რაოდენობას, ან უამისოდ, ან უწყებული აღგილიდან განდევნით, ან უამისოდ“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მარტის 11.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ 71 №-ში 1930 წ. მარტის 29.

## 85. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე მოსახლე კულტურულად შედარებით უფრო ჩამორჩენილ ეროვნებათა ქალის მდგომარეობის დამახასიათებელ საყოფაცხოვრებო დანაშაულთა შესწავლის შესახებ.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოსახლე კულტურულად შედარებით უფრო ჩამორჩენილ ეროვნებათა ქალის მდგომარეობის დამახასიათებელ საყოფაცხოვრებო დანაშაულთა ბუნების ყოველმხრივი შესწავლისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორს და საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს დააჯალონ სასამართლო და გამომკვლევ ორგანოებს წარუდგინონ ხოლმე ამიერკავკასიის და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიებს, საამისოდ დადგენილი განსაკუთრებული ფორმით, ცნობები ყველა იმ შემთხვევის თაობაზე, როდესაც ქალის მიერ ან ქალის მიმართ ჩადენილია დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ და ისეთი დანაშაული, რაც შეადგენს საგვარეულო ყოფაცხოვრების ნაშთს, აგრეთვე ცნობები ქალის მიერ თავისმოკვლის შემთხვევის შესახებ.

2. დავეალოს სასამართლოს და გამომკვლევ ორგანოებს ყოველმხრივ ხელი შეუწყონ აღნიშნული კომისიების პრეზიდენტების წევრებს, რათა ისინი უშუალოდ გაეცნონ 1-ლ მუხლში აღნიშნულ დანაშაულთა გარემოებებს; ამასთანავე, დასახელებული პრეზიდენტების წევრებს უფლება არა აქვთ ჩაერივნენ ზემოხსენებული ორგანოების ოპერატიულ მოქმედებაში.

3. დავეალოს სასამართლო ორგანოებს და საპატიმრო ადგილების ადმინისტრაციას ნება დართონ იმავე პრეზიდენტების წევრებს თავისუფლად გაეცნონ დამთავრებულ საქმეებს და ინახულონ ის პირნი, ვინც 1-ლ მუხლში აღნიშნულ დანაშაულთათვის სოციალური დაცვის ღონისძიებას იხდის.

4. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.



## 86. დადგენილება ც. ა. ქ. და ს. ქ. ს.

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 36 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. ნავჭურჭლის ნებაყოფლობითი გასხვისებისა და დაგირავების ყველა შემთხვევას სანოტარო კონტორა აცნობებს იმ ადგილის საზღვაო სავაჭრო ნავთსადგურთა სამმართველოს, სადაც მიწერილია ნავჭურჭელი“.

2. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხ. „თ“ და „მ“ პუნქტები და 51, 57 და 58 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„პუნ. „თ“. დამთავრებულ დისპაშას, რომელიც არ იქნა განსაჩივრებული იმ ვადაზე, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სავაჭრო საზღვაო ნაოსნობის კოდექსის მე-VIII დანართის („დისპაშერებისა, დისპაშის შედგენის წესისა და საზღვაო პროტესტის შესახებ“—სსრ კავშ. კან. კრ. 1929 წ. 41 №-ი, მუხ. 366) მე-13 მუხლში“.

„პუნ. „მ“. დოკუმენტს, რომლითაც დადასტურდება მოვალისა და მისი თავების მიერ ისეთი სესხის ვადის გადაცილება, რაც მიღებულია საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობისაგან, რა სახისაც უნდა იყოს ამხანაგობა, გარდა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ორგანიზაციისა, იმ პირობით კი, რომ სათანადო საკრედიტო კოოპერატივის გამგეობამ, სავალო დოკუმენტის დედნისა და გამგეობის მიერ შემოწმებული ამ დოკუმენტის ასლის გარდა, წარადგინოს აგრეთვე ასლი თავისი დადგენილებისა, რომლის თანახმადაც პრეტენზია გადახდევინებისათვის მიქცეულ უნდა იქნეს აღსრულების წარწერის წესით; თანაც აღინიშნება იმ თანხის რაოდენობა, რაც მოვალესა და თავებს უნდა გადახდეს“.

„მუხ. 51. საჩივარი აღსრულების წარწერის გაკეთების შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული წესისამებრ (XXVII თავი)“.

„მუხ. 57. სანოტარო კონტორა მიიღებს ნავჭურჭლის კაპიტანის განცხადებას იმის შესახებ, რომ მოხდა საერთო ან კერძო ავარია, ან რომ შესაძლებელია მოხდეს კერძო ავარია, ან და რომ მოხდა ნავჭურჭლების შეჯახება; ეს განცხადება წარედგინება კონტორას სსრ კავშირის სავაჭრო საზღვაო ნაოსნობის კოდექსის მე-VIII დანართის („დისპაშერებისა, დისპაშის შედგენის წესისა და საზღვაო პროტესტის შესახებ“—სსრ კავშ. კან. კრ. 1929 წ. 41 №-ი, მუხ. 366) 14 და 20 მუხლების წესისამებრ“.

„მუხ. 58. კაპიტანის განცხადებისა და სანავჭურჭლო ჟურნალის ცნობების თანახმად, აგრეთვე თვით კაპიტანისა და, შეძლებისდაგვარად, საკომანდო შედგენილობიდან არა ნაკლებ ორი პირისა და სანავჭურჭლო გუნდიდან არა ნაკლებ ორი პირის დაკითხვის მიხედვით სანოტარო კონტორა, ხოლო იქ, სადაც



სანოტარო კონტორა არ არის, სახალხო მოსამართლე შეადგენს საზღვაო პროტესტის აქტს“.

3. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 58 და 99 მუხლებს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„58 მუხლის შენიშვნა. ნაეჭურჭლის კაპიტანის განცხადება ავიარის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება ნავთსადგურის სამმართველოს და ადგილობრივ სასაქონლო ბირჟას, უკეთეს იგი არსებობს“.

„99 მუხლის შენიშვნა. ყველა შემთხვევა მემკვიდრეობის უფლებით ნაეჭურჭლის ისეთ პირზე გადასვლისა, ვინც სსრ კავშირის მოქალაქე არ არის, სანოტარო კონტორამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატს“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრაძე.

1930 წ. მარტის 11.  
ტფილისი-სასახლე.

### 87. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1 პუნქტისათვის ლიტერი „ტ“-ის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157; 1929 წ. მე-3 №-ი, მუხ. 28 და 22 №-ი, მუხ. 266) 46 მუხლის 1-ლ პუნქტს დაემატოს ლიტერი „ტ“ შემდეგი შინაარსისა:

„ტ) საბაზრო კომიტეტის ოქმს, რომელიც განსაზღვრავს ბაზარზე მოვაჭრე პირთა დავალიანებას საკომიტეტო გამოსაღებით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრაძე.

1930 წ. მარტის 11.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 77 №-ში 1930 წ. აპრილის 5.

## 88. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებათა შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის 17 მუხლს დაემატოს „ზ“ პუნქ. შემდეგი შინაარსისა:

3. „ზ“. „ნავეჭურჭლის კაპიტანი ისეთ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსის 67 მუხლით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 41 №-ი, მუხ. 366)“.

2. სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის 88 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა 2. უკეთუ ნავეჭურჭელს შეკერა დაედება, სასამართლო აცნობებს ამას საზღვაო სავაჭრო ნავთსადაფურთა სამმართველოს ნავეჭურჭლის მიწერის ადგილის მიხედვით“.

3. სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის 194 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. უკეთუ გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონების შედგენილობაში ნავეჭურჭელი აღმოჩნდება, ხოლო მემკვიდრე სსრ კავშირის მოქალაქე არ არის, სახალხო მოსამართლე ვალდებულია ეს გარემოება დაუყოვნებლივ აცნობოს გზათა სახალხო კომისარიატს“.

4. სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის 266<sup>3</sup> მუხ. „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

3. „ბ“. „სპეციალური კანონებით (სსრკ რკინისგზების წესდება—სსრკ კან. კრ. 1927 წ. 30 №-ი, მუხ. 308; სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის სექტემბრის 26-ის დადგენილება—რკინისგზითა და წყალსაველი გზით გადასაზიდი ტვირთის, ბავაჯის და ხელის ბარგის გასინჯვისა და დაჭერის შესახებ—სსრკ კან. კრ. 1925 წ. 66 №-ი, მუხ. 497) გათვალისწინებულ უფლებას, რომლითაც სათანადო საწარმოს შეუძლიან, უპირატესად ყველა სხვა კრედიტორის წინაშე, დაიკმაყოფილოს თავისი სათანადო პრეტენზიები გადასაზიდი ტვირთის ღირებულებიდან“.

5. სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის 266<sup>3</sup> მუხლს დაემატოს „თ“ პუნქ. შემდეგი შინაარსისა:

3. „თ“. „პრეტენზიების დაკმაყოფილების წესს, რაც დადგენილია სსრ კავშირის სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსის 182—191 მუხლებით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. № 41, მუხ. 366)“.

6. სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის 266<sup>2</sup> და 271 მუხლებს დაენატოს შენიშვნები შემდეგი შინაარსისა:

„266<sup>2</sup> მუხ. შენიშვნა. კომუნალური ბანკის პრეტენზიები სახელმწიფო მრეწველობისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტრომეურნეობათა დაკრედიტებისათვის მიცემული გრძელვადიანი სესხის გამო, უნდა დაკმაყოფილდეს მოვალის ყოველგვარი ქონებიდან, რაც სხვა პირთან დაგირავებული არ არის, ისე ვითომც ეს ქონება კომუნალურ ბანკში ყოფილიყოს დაგირავებული. მოვალის იმ ქონებიდან, რაც სხვა პირს აქვს დაგირავებული, აღნიშნული პრეტენზიები დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს უშუალოდ მოგირავანის პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ“.

„271 მუხ. შენიშვნა. უკეთუ გადახდევინება მიქცეულ იქნება ისეთ ნავჭურჭელზე, რაც სსრკ სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსის (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 41 №-ი, მუხ. 366) მე-6 მუხლის „ბ“—„ზ“ პუნქტებში აღნიშნულ პირს ეკუთვნის, სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, საქმის მიღებისათავე, აცნობოს ეს გზათა სახალხო კომისარიატს და, გარდა ამისა, ნავჭურჭელზე შეკვრის დადება შეატყობინოს საზღვაო სავაჭრო ნავთსადგურთა სამმართველოს ნავჭურჭლის მიწერის ადგილის მიხედვით“.

7. სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 305 მუხლს დაენატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა 2. შეკრული ნავჭურჭელი არ შეიძლება დაინიშნოს გასაყიდად ორი კვირის ვადის გასვლამდე იმ დღიდან, რაც გზათა სახალხო კომისარიატი მიიღებს ცნობას ნავჭურჭელზე გადახდევინების მიქცევის შესახებ (სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 271 მუხ. შენიშვნა)“.

8. სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის 314 მუხლს დაენატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. უკეთუ ნავჭურჭელი საჯარო ვაჭრობით გაიყიდა, სასამართლო აღმასრულებელმა უნდა აცნობოს ეს საზღვაო სავაჭრო ნავთსადგურთა სამმართველოს ნავჭურჭლის მიწერის ადგილის მიხედვით“.

9. ფიზიკურ და იურიდიულ კერძო პირთა არაშემძლეობის წესების (სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 266<sup>5</sup> მუხ. შენიშვნის დანართი) მე-8 მუხლს დაენატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. უკეთუ იურიდიული პირის სალიკვიდაციოდ მიქცეული ქონების შედგენილობაში არის ნავჭურჭელი, ეს გარემოება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სსრკ გზათა სახალხო კომისარიატს“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

## 89. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა სავალდებულო დასაბრუნებელი ანაბარების თაობაზე“ გამოცემული 1930 წ. თებერვლის 16-ის დადგენილების მოქმედების შეჩერების შესახებ.

თანხმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის მარტის 12-ის დადგენილებისა („ზარია ვოსტოკა“-ს 66 №-ი 1930 წ. მარტის 13-ის), რომლითაც შეჩერებულია ზოგიერთ ნაწილის მოქმედება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 5-ის დადგენილებისა „კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში შესატანი საპაიო გადასახადის რაოდენობისა და 1929-30 წლის საკრედიტო გეგმის განსახორციელებლად საჭირო სახსართა მობილიზაციის შესახებ“, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა სავალდებულო დასაბრუნებელი ანაბარების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 16-ის დადგენილების („კომუნისტი“-ს მე-40 №-ი 1930 წ. თებერვლის 18-სა) მოქმედება შეჩერებულ იქნეს.

2. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მაღლობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მარტის 13.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 61 №-ში 1930 წ. მარტის 16.

## 90. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ხელისუფლების ქვედა ორგანოების ამოცანების შესახებ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის საქმეში.

თანხმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 7-ის დადგენილებისა „ხელისუფლების ქვედა ორგანოების ამოცანების შესახებ კოლექტივიზაციის

საქმეში“ (გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 63 №-ი, მარტის 10-ისა, იმავე გაზეთის 65 №-ში მარტის 12-ს გამოქვეყნებული სარედაქციო შესწორებებით)—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის საქმეში მათთვის დაკისრებულ ამოცანათა აღსრულების დროს ზედმიწევნით იხელმძღვანელონ ძირითადი დებულებანი, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1930 წ. მარტის 7-ის, დადგენილების შესავალ ნაწილში, და ამა დადგენილებასთან დართული ინსტრუქცია.

2. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო-საბჭოებს მიიღონ გადაწყვეტი ღონისძიებანი უკვე მოწყობილ კოლექტიურ მეურნეობათა გასაძლიერებლად, მიაქციონ ყურადღება მიღწეულ წარმატებათა განსამტკიცებლად საჭირო მუშაობას, განსაკუთრებით მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, და აღკვეთონ კულაკური და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების ცდა—ჩაშალონ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის ფართოდ გაშლილი მოძრაობა.

3. განემარტოს მე-2 მუხლში აღნიშნულ ორგანოებს, რომ საჭიროა ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სოფლის აქტივის ინიციატივას კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობის საკითხებში, და რომ ამასთანავე ეს ორგანოები მოვალენი არიან აწარმოონ ფართო განმარტებითი და საორგანიზაციო მუშაობა, რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, რათა მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები ნებაყოფლობით გადავიდნენ სოფლის მეურნეობის კოლექტიურ ფორმებზე.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებს განსაზოგადოებულ მეურნეობათა მოწყობის საქმეში, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო არტელებისა, საერთო ძალით მიწის დამმუშავებელი ამხანაგობებისა და სხვა უფრო მარტივი საწარმოო შენაერთების ფორმით, ამასთანავე, მხედველობაში უნდა მიიღონ, თუ რამდენად მომზადებულია მოსახლეობა მეურნეობის კოლექტიური ფორმებისათვის, და აგრეთვე სხვა ადგილობრივი პირობები მეურნეობისა და ყოფაცხოვრებისა.

5. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს, რათა საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოების დროს განსაზოგადოებულ არ იქნეს ისეთი მერძეული საქონელი, რომელსაც სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვს, წვრილიფეხა საქონელი (ღორი, თხა), შინაური ფრინველი, ბოსტნები და საცხოვრებელი შენობები, აგრეთვე ისეთი ბაღები და ვენახები, რაც მომსახურებას უწყევს მეურნეობის სამომხმარებლო საჭიროებას და, ამის გარდა, სასაქონლო-სამრეწველო ხასიათის ბაღებისა და ვენახების ის ნაწილი, რაც საჭიროა კოლექტიური მეურნეობის წევრების პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

**შენიშვნა.** განსაზოგადოებულ უნდა იქნეს სამრეწველო მნიშვნელობის მერძეული საქონლის ის ნაწილი, რასაც განსაზღვრავს კოლექტიური მეურნეობის წევრთა საერთო კრება.

6. წინადადება მიეცეს საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიონ ამა დადგენილების განხორციელებას და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა თავიდან აცილებულ იქნეს ყოველი შემთხვევა ზემოაღნიშნული დირექტივებისათვის გვერდის ახვევისა.

7. წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკის პროკურორს დაუყოვნებლივ გადააყენონ თანამდებობიდან და პასუხისგებაში მისცენ სასამართლო წესით ის პირნი, ვინც ამა დადგენილებას დაარღვევს.

8. მიენდოს აუხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ მიიღონ ამ რესპუბლიკების და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებანი.

9. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრაია.**

1930 წ. მარტის 24.

ტფილისი—სასახლე.

## ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

იმ დადგენილების შეფარდებისათვის, რომელიც შეეხება ხელისუფლების ქვედა ორგანოების ამოცანებს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის საქმეში.

§ 1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო არტელების მოწყობას საფუძვლად უნდა დაედოს სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების ის ტექსტი, რომელიც მიიღო კოლმეურნეობათა ცენტრმა, მოიწონა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და დამტკიცა სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ (გაზ. „იზვესტია“ 1930 წ. მარტის 2-სა № 60 (3907) და გაზ. „კომუნისტი“ 1930 წ. მარტის 4-სა № 51 (2699), ხოლო აღნიშნულ წესდებას უნდა გაუკეთდეს შემდეგი დამატებანი, რაც დაკავშირებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის თავისებურებასთან და სხვა ადგილობრივ პირობებთან.

**შენიშვნა.** თესვის კამპანიის პერიოდში აკრძალულია სასოფლო-სამეურნეო არტელების რაიმე გადაჯგუფება და აგრეთვე მათი გადასვლა კომუნის წესდებაზე.

§ 2. ჩამორჩენილ რაიონებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო არტელების, როგორც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ძირითადი ფორმის, ორგანიზაციისათვის არ არსებობს სათანადო პირობები, კოლექტივიზაციის ძირითად ფორმად მიღებულ უნდა იქნეს საერთო ძალით მიწის დამმუშავებელი ამხანაგობა.

§ 3. რადგანაც საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო კულტურების სხვადასხვაობა მოითხოვს მეტად ფრთხილ მიდგომას ყოველგვარი მიწების განსაზოგადოებისადმი და, კერძოდ, იმ მიწების განსაზოგადოებისადმი, რაც ვენახსა და ბაღებს უჭირავს, საჭიროა ცალკე სასოფლო-სამეურნეო არტელების მოწყობის დროს სახელმძღვანელოდ იქნეს მიღებული შემდეგი წესი:

ა) 1930 წ. გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო არტელში განსაზოგადოებულ უნდა იქნეს ყველა საწარმოო საშუალება, რაც საჭიროა მემინდვრეობისათვის;

ბ) როგორც საერთო წესი, საქართველოს ყველა რაიონისათვის, საკარმიდამო მიწა არ უნდა იქნეს განსაზოგადოებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთების იმ ნორმების ფარგლებში, რაც განსაზღვრულია მიწის კოდექსით;

**შენიშვნა.** არტელის წევრთა საერთო კრების დადგენილებით საკარმიდამო მიწის ის რაოდენობა, რაც განსაზოგადოებულ არ უნდა იქნეს, შეიძლება შეიცვალოს მიწის კოდექსით განსაზღვრული ნორმის ფარგლებში.

გ) განსაზოგადოებულ არ უნდა იქნეს ბაღი და ვენახი იმ რაიონებში, სადაც მათ უმთავრესად სამომხმარებლო ხასიათი აქვთ, და აგრეთვე ბოსტანი—საქართველოს სსრ-ის არც ერთ რაიონში;

დ) განსაზოგადოებულ არ უნდა იქნეს აგრეთვე 1929 წლის საშემოდგომო ნათესი ინდივიდუალური ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებისა; ამ ნათესის მოსავალი მთლად მთესველთა სათანადო ინდივიდუალური მეურნეობის სარგებლობაში რჩება;

ე) მევენახეობისა და მებაღეობის სამრეწველო-სასაქონლო რაიონებში ამ კულტურების განსაზოგადოების დროს არტელის წევრისა და მისი ოჯახის პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამ წევრს უნდა დაეტოვოს ინდივიდუალურ სარგებლობაში ვენახისა და ბაღის ნაწილი; ამ ნაწილის რაოდენობა თვითნებურ ცალკე შემთხვევაში განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობის დადგენილებით, რასაც დაამტკიცებს არტელის წევრთა საერთო კრება;

ვ) არტელის წევრის ინდივიდუალურ სარგებლობაში დატოვებული ვენახისა და ბაღის პროდუქცია გადადის ამ წევრის თავისუფალ განკარგულებაში და მას უფლება აქვს მოიხმაროს ან გაყიდოს იგი.

§ 4. იმ ქონებიდან, რაც სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-4 მუხლის თანახმად განსაზოგადოებულ უნდა იქნეს, არტელის წევრს აუცილებლად უნდა დაეტოვოს პირად სარგებლობაში ერთი საჯდომი ცხენი.

§ 5. არასამრეწველო მეცხვარეობის რაიონში ცხვარი განსაზოგადოებულ არ უნდა იქნეს; არტელის წევრს აქვს უფლება მისი შემდგომი მოშენებისა, თანაც ეს ქონება განსაზოგადოებულ ნაწილში არ შეიტანება და იგი არტელის წევრის თავისუფალ განკარგულებაშია; ცხვრის განსაზოგადოება შეიძლება მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც მეურნეობის ამ დარგს სასაქონლო-სამრეწველო ხა-



სიათი აქვს; ამასთანავე, ცხვრის განსაზოგადოების დროს არტელის წევრს პირადი სარგებლობისათვის დაეტოვება ცხვრის ნაწილი; ამ ნაწილის რაოდენობა განისაზღვრება არტელის გამგეობის დადგენილებით, რასაც დაამტკიცებს არტელის წევრთა საერთო კრება.

**შენიშვნა.** არტელის წევრის პირად სარგებლობაში დატოვებული ოთხფეხი საქონლის (და აგრეთვე საჯდომი ცხენის) ძოვება უნდა სწარმოებდეს განსაზოგადოებულ საძოვარზე განსაზოგადოებული ოთხფეხი საქონლის თანაბრად.

§ 6. საქართველოს სსრ-ის არც ერთ რაიონში განსაზოგადოებულ არ უნდა იქნეს ღორი, თხა, ფრინველი და სხვა წვრილფეხა საქონელი; სასოფლო-სამეურნეო არტელები მოაწყობენ მეფრინველეობის განსაზოგადოებულ მეურნეობას უმთავრესად ჯიშიანი მასალისაგან, რასაც მიიღებენ მეფრინველეობის სპეციალური ორგანიზაციებიდან და რასაც თითონ შეიძენენ.

§ 7. სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების სასაქონლო-სამრეწველო რაიონებად, ამა ინსტრუქციის წინა პარაგრაფებში აღნიშნული წესების შეფარდებისათვის, ჩაითვალოს:

ა) **მევენახეობა:** ქუთაისის ოლქში—ბაღდადის, ჩხარის და ზესტაფონის რაიონები; კახეთის ოლქში—გურჯაანის, ყვარელის და თელავის რაიონები;

ბ) **მებაღეობა:** გორის ოლქში—გორის რაიონი, ახალციხის მაზრა, სამხრეთ-ოსეთში—ცხინვალის რაიონი;

გ) **მეცხვარეობა:** კახეთის ოლქში—სიღნაღის რაიონი, ტფილისის ოლქში—დუშეთის რაიონი.

**შენიშვნა.** სოფლების სიას ზემოაღნიშნული რაიონების ფარგლებში განსაზღვრავენ კახეთის, გორის, ტფილისის და ქუთაისის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტები და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, კუთვნილებისამებრ, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

§ 8. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებებს განიხილავს სასოფლო საბჭო და საბოლოოდ დაამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

§ 9. მებარეშუმეობის რაიონების მიმართ სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული შემდეგი წესები:

ა) მეურნეობის ინდივიდუალურ სარგებლობაში დატოვებულ უნდა იქნეს ყველა თუთის ხის ნარგავი, რაც განსაზოგადოებულ მიწის ნაკვეთზეა;

ბ) თუთის ხის ნარგავი, რაც განკუთვლების შედეგად განსაზოგადოებულ იქნა, უნდა გადაიცეს სასოფლო-სამეურნეო არტელის განუყოფელ ფონდში, ხოლო არტელის გამგეობა ვალდებულია ამ განსაზოგადოებულ ნარგავის ფოთოლი მიაწოდოს ცალკე მებარეშუმეთ და მათ ჯგუფებს, რომელნიც აბრეშუმის ჭიის საკუთარი საკვებით სავსებით უზრუნველყოფილი არ არიან;

გ) სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრის იმ მიწის ნაკვეთზე ქონებული თუთის ხის ნარგავი, რაც განსაზოგადოებული არ არის, დატოვებულ იქნეს ამ წევრის დამოუკიდებელ განკარგულებაში;

დ) უკეთეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები მიმდინარე წელს აბრე-  
 შუმის მოყვანაზე უარს იტყვიან, განსაზღვრადობულ მიწის ნაკვეთზე ქონებული  
 თუთის ხის ნარგავი უნდა გადაიცეს არტელის განუყოფელ ფონდში; ამასთანავე,  
 აღნიშნული ნარგავიდან მიღებული საკვები განაწილებულ უნდა იქნეს ამა პარა-  
 გრაფის „ბ“ პუნქტის წესისამებრ;

ე) ხელი უნდა შეეწყოს მეაბრეშუმეთ და მათ ჯგუფებს საჭირო მასალით  
 მომარაგების საქმეში და აგრეთვე ტენიკური დახმარებით;

ვ) ყოველგვარად ხელი უნდა შეეწყოს მეაბრეშუმეთა გაერთიანებას პატარა  
 ცალკე ჯგუფებად და არტელებად (აბრეშუმის საერთო ძალით მომყვანი მარტივი  
 კოოპერატიული საწარმოო შენაერთები);

ზ) კოლექტიური მეურნეობა ვალდებულია აგრონომიული და ტენიკური  
 დახმარება გაუწიოს გარემო მცხოვრებ მთელს მოსახლეობას, რომელიც მეაბრე-  
 შუმეობას მისდევს.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ 67 №-ში 1930 წ. მარტის 25.

## სენატრალური ალგასრულეგელი კომიტატის დადგე- ნილეგანი.

### 91. დადგენილებათ. ა. ა. კ.

ქალაქის საბჭოების წევრების მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონების სასოფ-  
 ლო საბჭოებში და რაიონმასკომებში სახელმძღვანელო სამუშაოზე გაგზავნის  
 შესახებ.

1. სოფლის საბჭოებზე პროლეტარული ხელმძღვანელობის განმტკიცების  
 და მათი მუშაობის გარდაქმნის მიზნით, კოლმეურნეობრივი მშენებლობის ახალ  
 ამოცანებთან დაკავშირებით, მობილიზაცია ეყოს საუკეთესო კვალიფიციურ და  
 მომზადებულ ქალაქის საბჭოების წევრებს, რომლებიც არ საჭიროებენ მოსამ-  
 ზადებელ კურსებზე ხანგრძლივ მეცადინეობას, და გადაიგზავნონ ისინი მთლიანი  
 კოლექტივიზაციის რაიონებში არა ნაკლებ ერთი წლისა სოფლის საბჭოებში  
 და რაიონმასკომებში სახელმძღვანელო სამუშაოზე.

2. სოფელში გასაგზავნ ქალაქის საბჭოების წევრებს გამოყოფენ ქალაქის  
 საბჭოების პრეზიდიუმები და დაამტკიცებენ შესაფერისი საბჭოების პლენუმები  
 და აღმასკომები.

3. მთელს საქ. სს რესპუბლიკაში მობილიზაცია ეყოს ქალაქის საბჭოების  
 200 წევრს შემდეგი განრიგებით: ტფილისის საბჭო მობილიზაციას უკეთებს  
 100 საბჭოს წევრს, ბათუმის—20, ქიათურის—10, ქუთაისის—30, სამტრე-  
 დიის—10, ბორჯომის—10, ხაშურის—10 და ფოთის—10.

4. ყველა ეს ორასი მობილიზაციაქმნილი საბჭოს წევრები მთლიანი კოლექ-  
 ტივიზაციის რაიონებში განაწილდეს შემდეგნაირად: კახეთის ოლქში გაიგზავ-

ნოს—40 კაცი, ქუთაისის—50 და გორის—35; ქალაქის საბჭოს დანარჩენი წევრები ნაწილდებიან შემდეგნაირად: ტფილისის ოლქი—30 კაცი, ზუგდიდის მაზრა—15, სენაკის მაზრა—15, ოზურგეთის მაზრა—15.

5. სოფლის საბჭოებში გადაგზავნილი საბჭოს წევრები სოფელში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში უზრუნველყოფილ უნდა იქნენ იმ წარმოების შესაფერისი კვალიფიკაციის მუშის ხელფასით, საიდანაც ისინი იგზავნებიან. განსხვავების ერთი ნაწილი საშუალო ხელფასის და ფაქტურად ასაღებ ჯამაგირის შორის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ადგილობრივი ბიუჯეტით, მეორე ნაწილი კი დაიფარება საკავშირო მთავრობის ბიუჯეტით.

6. გამოყოფილ ქალაქის საბჭოების წევრების გადასამზადებლად მოეწყოს ქალაქ ტფილისში, საქართველოს ცაკ-თან, წინასწარი ორკვირეული კურსები. კურსები გაიხსნას 20 მარტს.

7. კურსების ხელმძღვანელობა დაევალოს საქ. ცაკ-ის საორგანიზაციო განყოფილებას.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს გაილოს 12 ათასი მანეთი და ტფილისის ოლქის აღმასკომს 6.000 მან. კურსების საპროცენტისათვის.

9. წინადადება მიეცეს ტფილისის, ქუთაისის და გორის საოლქო აღმასკომებს, აპარისტანის ცაკ-ის და ფოთის ქალაქის საბჭოს გამოყონ საბჭოს შესაფერისი წევრები განაწილების მიხედვით და გამოგზავნონ ტფილისში. ცაკ-ის კურსებზე მეცადინეობა დაწესდეს მხოლოდ ქართულ ენაზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია**.

1930 წ. მარტის 11.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი-ს“ 59 №-ში 1930 წ. მარტის 14.

## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

92. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ა. ს.

ხასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის ქვედა ორგანოების მოწყობის შესახებ.

„ხასოფლო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის დარგის სტატისტიკური ცნობების შეკრების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის თებერვლის 27-ის დადგენილების (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ 1930 წ. მარტის 1-ისა № 54/2322) თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს სასოფლო საბჭოებთან სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის რწმუნებულთა თანამდებობა.

სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის რწმუნებულს აირჩიეს სასოფლო საბჭო, თავისი რწმუნებამოსილობის ვადით, იმ კანდიდატთაგან, რომელთაც დასახელებს სოფლის ღარიბთა ჯგუფი ან კრება, მიწა-ტყის დარგში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა საერთო კრება, კოლექტიური მეურნეობის წევრთა საერთო კრება და სოფლის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის რწმუნებულს დაეკისრება სოფლის მეურნეობის დარგის სტატისტიკური ცნობების შეკრეფა და უშუალო სასტატისტიკო აღნუსხვის წარმოება იმ ტერიტორიაზე, რასაც სასოფლო საბჭო აერთიანებს.

2. რაიონის ტერიტორიაზე და მასში გაერთიანებულ სოფლებში სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის რაოდენობის შესახებ დასკვნის მისაცემად, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყოს საექსპერტო კომისიები; ამ კომისიების შედგენილობაში შევლენ: თავმჯდომარე—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტის წევრი, რომელსაც ეს აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევს, რაიონის სტატისტიკოსი და ამა თუ იმ რაიონის ტერიტორიაზე მომქმედი შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენელი: კოლექტიურ მეურნეობათა სარაიონო კავშირისა (ხოლო იქ, სადაც ასეთი კავშირი ჯერ კიდევ არ დაარსებულა, მსხვილი კოლექტიური მეურნეობებისა), საბჭოთა მეურნეობებისა, მიწა-ტყის დარგის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის სარაიონო ორგანიზაციისა და ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციებისა.

3. სასოფლო საბჭოებთან მყოფი სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის რწმუნებულნი და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საექსპერტო კომისიები მოქმედობენ განსაკუთრებული დებულების თანახმად.

4. იმ ცნობების მოცულობას სოფლის მეურნეობის სასტატისტიკო აღნუსხვის საქმეში, რაც შეკრეფილ უნდა იქნეს სოფლის რწმუნებულთა მიერ, და აგრეთვე იმ საკითხების ნუსხას, რომელთა შესახებაც სარაიონო საექსპერტო კომისიებმა თავისი დასკვნა უნდა მისცენ, დაადგენს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია ან მისი რწმუნებამოსილობით—საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია.

5. წინადადება მიეცეს ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სასოფლო საბჭოს ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნული ქვედა ორგანოები სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკისა მოაწყონ არა უგვიანეს 1930 წლის მარტის 10-ისა.

6. პასუხისმგებლობა ამა დადგენილების თავის დროზე აღსრულებისათვის დაეკისროს საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს.

7. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური

ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—მოაწყონ სათანადო რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილებით გათვალისწინებული ქვედა ორგანოები სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკისა მე-5 მუხლით დადგენილ ვადაზე.

8. დადგენილება ესე შემოდებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მავ. ა. ანთაძე.

1930 წ. მარტის 1.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 50 №-ში 1930 წ. მარტის 2.

### 93. დადგენილება ს. ა. ს.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დადგენილებების თანახმად გამოსახლებულ პირთა რეგისტრაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს იმ პირთა სავალდებულო რეგისტრაცია სასოფლო საბჭოებში, რომელნიც გამოსახლებულ არიან სოფლიდან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დადგენილებების თანახმად, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით; ეს რეგისტრაცია უნდა სწარმოებდეს როგორც აღნიშნულ პირთა გამოსახლების ადგილას, ისე მათ მიერ საცხოვრებლად არჩეულ ადგილას.

**შენიშვნა.** რეგისტრირებულ უნდა იქნეს ამა მუხლში აღნიშნული ყოველი პირი, იმისდამიუხედავად, გამოსახლებულია იგი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით თუ უამისოდ.

2. 1-ლი მუხლის წესისამებრ რეგისტრირებულ უნდა იქნეს მეურნეობის (კომლი, ოჯახი) თავი და შრომისუნარიანი წევრები, აგრეთვე ამათ რჩენაზე მყოფი ყოველი პირი ასაკით 18 წლისა და ამაზე უფროსიც.

3. ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნული პირნი რეგისტრირებულ უნდა იქნენ სოფლის საბჭოებში და ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი, გამოსახლების შემდეგ, საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლიან.

4. 1-ლ და მე-2 მუხლებში დასახელებული პირნი მოვალენი არიან, ათი დღის ვადაზე დლიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა მე-7 მუხლში აღნიშნული წესით, გამოცხადდენ თავიანთი ახალი საცხოვრებელი ადგილის სასოფლო საბჭოში რეგისტრაციისათვის ზემოაღნიშნული წესისამებრ და შემდეგშიაც

გაიარონ რეგისტრაცია სათანადო სასოფლო საბჭოში ხუთი დღის ვადაზე ახალ საცხოვრებელ ადგილზე მისვლისას.

ამა მუხლის დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით: მას დაედება ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ხუთმეტ დღემდე; ამ გადასახდელს დაადებს მათ საოლქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი სასოფლო საბჭოს მიერ შედგენილი აქტის მიხედვით და „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით გადასახდელის დადების დებულების“ თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი, მუხ. 100 და 1929 წ. მე-10 №-ი, მუხ. 92, მე-14 №-ი, მუხ. 145 და 23 №-ი, მუხ. 288).

5. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს აღნუსხონ ყველა ის პირი, ვინც, ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე, ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოსახლებულ იქნა სოფლიდან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით.

6. მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სამი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, გამოსცეს და, საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, დაუგზავნოს ადგილებს სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად; ამ ინსტრუქციით, კერძოდ, დადგენილ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით სოფლიდან გამოსახლებულ პირთა აღნუსხვისა და რეგისტრაციის ფორმა.

7. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს დაუყოვნებლივ, გაზეთ „კომუნისტის“ იმ №-ის მიღებისათანავე, რომელშიაც დაბეჭდილ იქნება ეს დადგენილება, გამოაქვეყნონ სახელმწიფო ენაზე და უწყებული რაიონის მოსახლეობის უმეტესობისათვის გასაგებ ენაზე ამ დადგენილების მე-4 მუხლი სათანადო განცხადების გაკვრით ქუჩებში, მოედნებზე, სასოფლო საბჭოების სადგომებში და სხვ.

8. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველის მაგ. ა. ანთაძე.



## 94. დადგენილებათა ს. კ. ს.

საბაზრო კომიტეტების დებულების 27 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საბაზრო კომიტეტების დებულების 27 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. 11 №-ი მუხ. 107) შეიცვალოს შემდეგნაირად:

„მუხ. 27. იმ პირს, ვინც ერთი თვის განმავლობაში არ გადაიხდის დადგენილ საკომიტეტო გამოსაღებს, საბაზრო კომიტეტი გადაახდევინებს შეწერილ თანხას სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის 1 პუნქტის „ტ“ ლიტერში გათვალისწინებული წესით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალოზლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველის მაგ. ა. ანთაძე.

1930 წ. მარტის 3.

ტფილისი—სასახლე.

## 95. დადგენილება ს. კ. ს.

ხორცის სავალდებულო დადაღვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოდებულ იქნეს კერძო პირებისა და ხორცის მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში გასაყიდად გამოსაშვები ხორცის სავალდებულო დადაღვა სავეტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის მიერ.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 200<sup>1</sup> მუხლის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 26).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალოზლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველის მაგ. ა. ანთაძე.

1930 წ. მარტის 3.

ტფილისი—სასახლე.

## 96. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ა. ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაწესებულებათა და სამემდიცინო პერსონალის საკავშირო აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „1929-30 წელში ჯანმრთელობის დაწესებულებათა და სამემდიცინო პერსონალის საკავშირო აღწერის შესახებ“ 1929 წ. აგვისტოს 28-ის თარიღით გამოცემულ დადგენილებასთან დაკავშირებით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 56 №-ი, მუხ. 522) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა იმ პირს, ვისაც აქვს სამემდიცინო განათლება (საექიმო, საშუალო, დაბალი), როგორც კერძო პრაქტიკის მქონეს, ისე უმუშევარს, და აგრეთვე მას, ვინც აღწერის მომენტში მუშაობს არა თავის სპეციალობაზე, მისცეს აღწერის მწარმოებელ სტატისტიკურ ორგანოებს აღწერისათვის საჭირო ყველა ცნობა იმ წესით და იმ ვადაზე, რაც დადგენილ იქნება საქართველოს სსრ სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მიერ.

2. ჯანმრთელობის დაწესებულებათა და მათში მომუშავე სამემდიცინო პერსონალის აღწერის ფორმულარების შევსება დაევალოს ამ დაწესებულებათა გამგეთ მათი პერსონალური პასუხისმგებლობით წარდგენილი ცნობების სისრულისა და სისწორისათვის და აგრეთვე ვადაზე წარდგენისათვის.

3. დაევალოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ და აგრეთვე კერძო დაწესებულებათ, ორგანიზაციათ და საწარმოთ, ამა დადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნულთა გარდა, აცნობონ, არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 5-ისა ავტონომიური რესპუბლიკების სტატისტიკურ სამმართველოებს და საოლქო და სამაზრო სტატისტიკურ განყოფილებებს—კუთვნილებისამებრ, სახელი, გვარი და მისამართი ყველა იმ პირისა, რომელიც იმყოფება მათ სამსახურში და აქვს მიღებული სპეციალური სამემდიცინო განათლება (საექიმო, საშუალო, დაბალი), თუნდაც იგი ამ უამად თავის სპეციალობაზე არ მუშაობდეს. იგავე დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებულ არიან მეთვალყურეობა იქონიონ, რათა თავის დროზე აღწერილ იქნან ამა მუხლში აღნიშნული პირები.

4. საქართველოს ტერიტორიაზე აღწერის წარმოების წესისა და ვადების განსაზღვრა მიენდოს საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

5. აღწერისათვის ხელისშემწყობი პირობების შესაქმნელად, აღწერის ობიექტობის უზრუნველსაყოფად და აღწერის საქმეში საზოგადოების ჩასაბმელად—საქართველოს სსრ სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან, აზუბაზეთის სსრ და აჭარისტანის ასსრ სტატსამმართველოებთან, საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს რწმუნებულთან სამხრეთ-ოსეთში, საოლქო და სამაზრო სტატ. განყოფილებებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან დაარსებულ იქნეს სააღწერო კომისიები, რომლებშიაც წევრებად შევლენ: სახალხო კომისართა საბჭოს ან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზი-



დიუმის წევრი, იმ სტატ. ორგანოს მმართველი ან გამგე, რომელიც აწარმოებს აღწერას, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ან ჯანმრთელობის სათანადო განყოფილებისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, შრომის სახალხო კომისარიატისა და სამედიცინო-სასანიტარო შრომის მომუშავეთა კავშირის წარმომადგენლები.

6. დაევალოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ასსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და მათ ქვემდებარე ორგანოებს აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება თავიანთ ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაწესებულებათა და სამედიცინო პერსონალის საკავშირო აღწერას.

7. ის, ვინც დაარღვევს ამა დადგენილებას, პასუხს აგებს: თანამდებობის პირი—სადისციპლინო წესით, ხოლო კერძო პირი—ადმინისტრატიული წესით და მას დაედება ჯარიმა 100 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე თანახმად „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულებებისა“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. მარტის 16.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 71 №-ში 1930 წ. მარტის 29.

## 97. დადგენილება ს. კ. ს.

მუშებისა და გლეხებისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ.

რადგანაც ჯანმრთელობის დაცვის საქმის განვითარება ძირითადი სოციალისტური რეკონსტრუქციის პირობებში თვალსაჩინოდ ჩამორჩება მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას და მუშათა კლასისა და გლეხობის მოთხოვნილებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიური სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს შეუდგენენ ჯანმრთელობის საქმის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმის გადამუშავებას, იმ მიზნით, რათა გაძლიერდეს მედიკო-სანიტარული მშენებლობა სარეკონსტრუქციო პერიოდისა, მოსახლეობის ზრდისა და აგრეთვე კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის განვითარების

მოთხოვნილებათა მიხედვით, და სათანადო პროექტი წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

2. ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმის გადამუშავება უნდა გამომდინარეობდეს ჯანმრთელობის დარგში მთელი პრაქტიკული მუშაობის არსებითად გარდაქმნის აუცილებლობიდან, იმ მხრივ, რომ ამ მუშაობაში უფრო მკაფიოდ გამოისახოს კლასობრივი პროლეტარული ხაზი. ამ მიზნით:

ა) გაუმჯობესებულ იქნეს სამკურნალო-პროფილაქტიური დახმარება სამრეწველო ცენტრებში და ძირითად ინდუსტრიალურ რაიონებში (სამთო, საფეიქრო მრეწველობა და სხვ.);

ბ) უზრუნველყოფილ იქნეს ჯანმრთელობის ხუთწლიანი გეგმით დაზღვეულთათვის განსაკუთრებული სამედიცინო მომსახურების გაწევა;

გ) საწარმოთა 7 საათიან სამუშაო დღეზე და განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით გადასინჯულ იქნეს იმ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა მუშაობა, რომელნიც მომსახურებას უწყევენ მუშების საჭიროებას (ავადმყოფთა სლამობით მიღების ორგანიზაცია, პირველი დახმარების პუნქტების გაფართოება, სამკურნალო დაწესებულებებში რიგების მოსვობა, ბავების გახსნა და სხვ.);

დ) შემუშავებულ და განხორციელებულ უნდა იქნეს განსაკუთრებით ფართო ღონისძიებანი ჭიათურის და ტყიბულის რაიონების სანიტარული გაჯანსაღებისათვის, რადგანაც ამ რაიონების სანიტარული მდგომარეობა არადა-მაკმაყოფილებელია;

ე) რადგანაც სამედიცინო დახმარება სოფლად აშკარად არასაკმარისია, განსაკუთრებით ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მიმართ, შემუშავებულ იქნეს გეგმა სოფლად სამკურნალო ქსელის სისტემატიურად გაფართოებისა. სოფლად გაძლიერებული მუშაობის წარმოების დროს ჯანმრთელობის საქმე უნდა დაუკავშირდეს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას, რომელმაც მოიცვა მოჯამაგირე, ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასები; ამასთანავე უნდა დაევალოს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციებს, რათა მათ გაუწიონ ჯანმრთელობის ორგანოებს მატერიალური დახმარება სამკურნალო-სასანიტარო საქმის მშენებლობისათვის სოციალისტური სექტორის ფარგლებში;

ვ) უკეთეს მალარიან რაიონებში საჭირო იქნება ახალ საწარმოთა და ნაგებობათა მოწყობა, მშენებელ უწყებებსა და ორგანიზაციებს უნდა დაევალოს, რათა მათ ახალი მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში გაითვალისწინონ სათანადო სახსარი მალარიის წიინააღმდეგ მიმართულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

3. დაევალოს აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიურ სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის არსებითად გაუმჯობესებისათვის

ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ წინადადებათა მიხედვით და ამასთანავე მტკიცეთ გაატარონ მუშათა და გლეხთა აქტივის დაწინაურება ჯანმრთელობის ორგანიზებში;

ბ) იხმარონ ღონისძიება, რათა საბჭოთა საზოგადოებრიობამ მონაწილეობა მიიღოს ჯანმრთელობის დაცვის საქმეში;

გ) გამოიძუშონ გადამჭრელი ღონისძიებანი მედიკო-სანიტარული დარგის მომუშავეთა შორის შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

4. იმ მიზნით, რათა მუშებით დასახლებული ადგილები და სოფელი, რომელთაც სამედიცინო დარგის მომუშავენი მწვევად ესაქიროებათ, დაკმაყოფილებულ იქნენ, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად, შეიმუშაოს და განახორციელოს სათანადო კონკრეტული ღონისძიებანი, რამაც უნდა უზრუნველყოს სამედიცინო დარგის მომუშავეთა და სამედიცინო სასწავლებლების კურსდამთავრებულ პირთა გამოყენება დიდი ქალაქების გარეშე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მაგ. გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. მარტის 16.  
ტფილისი—სასახლე.

## 98. დადგენილება ს. კ. ს.

კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის სოფლად და საქარხნო-საფაბრიკო რაიონებში სამუშაოდ გაგზავნისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სოფლად და საქარხნო-საფაბრიკო რაიონებში დაზღვეულთა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის სამკურნალო დახმარებით უზრუნველსაყოფად და უმუშევარი სამედიცინო პერსონალის კადრების მაქსიმალური გამოყენებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს აწარმოოს რესპუბლიკის სოფლებისა და საქარხნო-საფაბრიკო რაიონების სამკურნალო დაწესებულებებში ქონებულ თავისუფალ თანამდებობათა ზედმიწევნითი აღნუსხვა და მიიღოს ღონისძიება მათი კვალიფიციური მედპერსონალით შევსებისათვის.

2. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს გაგზავნოს ხოლმე სამუშაოდ სოფლებში და საქარხნო-საფაბრიკო რაიონებში:

ა) უმუშევარი მედიცინის ექიმები, კბილის ექიმები, ფარმაცევტები, ბებია-ქალები, ფერწელები, ფერწალი ქალები და მედიცინის დები, რომელნიც იმყოფებიან შრომის ბირჟის აღნუსხვაზე;

ბ) ინტერნი ექიმები, რომელთაც დაამთავრეს ერთწლიანი ან ორწლიანი ინტერნატურა, ორდინატორი ექიმები, რომელნიც კლინიკურ სტაჟს ამთავრებენ და მოვალენი არიან მოიხადონ სამსახური თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. აპრილის 13-ის დებულებისა (კან. კრ. 1926 წ. მე-2 №-ი, მუხ. 53);

გ) ექიმები, რომელნიც სამკურნალო დაწესებულებებში ასრულებენ საშუალო სამედიცინო პერსონალის მოვალეობას;

დ) საადმინისტრაციო-სამეურნეო დაწესებულებებში მომუშავე ექიმები, რომელთაც უჭირავთ ადმინისტრატიულ-ტექნიკური თანამდებობა და რომელთა შეცვლაც საქმისათვის უზიანოდ შესაძლებელია არა ექიმთა მიერ (დაწინაურებული მუშებით და სხვა მუშაკებით);

ე) ექიმები, რომელნიც, განათლების სახალხო კომისარიატის მიერ პედაგოგიური პერსონალის პერიოდული შემოწმების შემდეგ, რჩებიან უნივერსიტეტის გარეშე;

ვ) ექიმები, რომელნიც წითელი არმიიდან და წითელი ფლოტიდან დემობილიზებულ არიან საერთო წესით.

3. საფაბრიკო-საქარხნო რაიონებში და სოფლად გაგზავნისაგან შეიძლება განთავისუფლებულ იქნენ: ა) ინვალიდები, რომელნიც წარადგენენ საექიმო-საექსპერტო ბიუროს მოწმობას ინვალიდობის შესახებ; ბ) მარტოხელა პირები, რომელთაც მზრუნველობაზე ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები ასაკით 2 წლამდე, და გ) ის პირები, რომელთაც უმუშავნიათ სოფლად არა ნაკლებ 3 წლისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ გადაყვანილ არიან ქალაქში.

4. დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს უზრუნველჰყონ მედიცინის დარგის კვალიფიციური მომუშავენი, რომელნიც სამუშაოდ სოფლად და საქარხნო-საფაბრიკო რაიონებში იგზავნებიან და რომელნიც იქ იმუშავენ არა ნაკლებ 3 წლისა, — მით რომ ისინი სოფლიდან ქალაქში გადაყვანილი იქნებიან სათანადო გეგმის თანახმად მათი სპეციალობის მიხედვით; ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს უფლება ეძლევათ შეამცირონ თავიანთი შეხედულებით ამა მუხლში აღნიშნული ვადა ერთ წლამდე იმ პირთათვის, რომელნიც იმსახურებენ ჯანმრთელობისათვის კლიმატიერად მავნე რაიონებში.

5. კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის იმ პირთ, რომელნიც სამუშაოდ სოფლად და საქარხნო-საფაბრიკო რაიონებში იგზავნებიან, შეენახებათ საცხოვრებელი სივრცე, რაც მათ და მათ ოჯახებს უჭირავთ, მთლად ქალაქ გარეშე ყოფნის დროის განმავლობაში.

6. წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს მოხსნას ხოლმე რეგისტრაციიდან სამედიცინო დარგის ის უმუშევარი მომუშავენი, რომელნიც პატივსადებ მიზეზების გარეშე უარს განაცხადებენ სამუშაოდ სოფლად და საქარხნო-საფაბრიკო რაიონებში წასვლაზე, მათი სივების პრესაში გამოქვეყნებით.

7. წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს შეადგინოს კომისია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და მედსანშრომის კავშირის წარმო-

მადგენლების მონაწილეობით იმ სამედიცინო დარგის მომუშავეების გამოსარკვევად, რომელნიც გაგზავნილ უნდა იქნენ სამუშაოდ სოფლად და საქარხნო-საფაბრიკო რაიონებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
 თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
 საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. მარტის 16.  
 ტფილისი—სასახლე.

## 99. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-ის ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელი პერსონალის მორიგი შვებულების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა, მათ მოადგილეთა და საქართველოს სსრ ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელთა მორიგი შვებულებები განაწილებულ უნდა იქნეს მთელი წლის განმავლობაში ისეთი ვარაუდით, რომ უწყების (დაწესებულების) მეთაურის და მისი მოადგილის შვებულება ერთსადაიმავე დროს არ მოდიოდეს.

2. სახალხო კომისრებისათვის, მათი მოადგილეებისათვის და დაწესებულებათა ხელმძღვანელებისათვის ამა თუ იმ უწყებების (დაწესებულების) ინტენსიური მუშაობის პერიოდში შვებულების მიცემა არ შეიძლება.

ასეთ პერიოდად ითვლება: ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის—სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მსვლელობის პერიოდი, სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის—საკონტროლო ციფრების დაწესებულებისა და შედგენის პერიოდი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის—სავაზაფხულო და საშემოდგომო თესვის კამპანიებისათვის მომზადება და სხვა.

არ შეიძლება აგრეთვე შვებულების მიცემა წლიური საუწყებო გეგმების შედგენისა და დამტკიცების პერიოდში და აგრეთვე სათანადო უწყების (დაწესებულების) ხარჯთაღრიცხვის განხილვისა და დამტკიცების პერიოდში.

**შენიშვნა.** გამონაკლისი შეიძლება სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით მხოლოდ უწყების (დაწესებულების) მეთაურის ან მისი მოადგილის ავადმყოფობის გამო.

3. სახალხო კომისარებისა, მათი მოადგილეებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების შვებულებების განაწილება მკიდროდ დაკავშირებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მუშაობასთან, რათა შვებულებებმა ხელი არ შეუშალოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მუშაობას.

4. სახალხო კომისრებისა, მათი მოადგილეებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების შვებულებები გაითვალისწინება შვებულებების განაწილების

წლიური საკალენდრო გეგმით, რაც შედგენილ უნდა იქნეს უწყების (დაწესებულების) მუშაობის ხასიათისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამუშაოთა გეგმის შესაბამისად. შევებულებების განაწილების საკალენდრო გეგმას დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

5. ასეთივე საკალენდრო გეგმები შევებულებების განაწილებისა შედგენილ უნდა იქნეს თვითეული სახალხო კომისარიატის (ცალკეული დაწესებულების) კოლეგიის წევრებისა და განყოფილებების გამგეებისათვის. ამ გეგმებს დაამტკიცებს სახალხო კომისარი ან დაწესებულების ხელმძღვანელი არა უგვიანეს იანვრის 15-ისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგ. ვ. მალოზლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. მარტის 16.  
ტფილისი—სასახლე.

## 100. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების შედგენისა და განხილვის წესის შესახებ.

„სახალხო მეურნეობის 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების შედგენის შესახებ“ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის მარტის 9-ის დირექტივების („ზარია ვოსტოკა“-ს 67 №-ი) შესასრულებლად. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა) შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის 1930-31 წლის საკონტროლო ციფრებში დიდრონი სამეურნეო შენაერთების (სამრეწველო შენაერთებისა, საბჭოთა მეურნეობის შენაერთებისა და ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) სამმართველოს უწყების შენაერთების) საწარმოო-საფინანსო გეგმები;

ბ) გაშლილ იქნეს საკონტროლო ციფრების ძირითადი ელემენტები ტერიტორიალური და კვარტალური ხაზით, ავტონომიური რესპუბლიკების გამოყოფით, ხოლო სოფლის მეურნეობის სფეროში—ოლქების და თესვის ორი კამპანიის მიხედვით.

2. დაევალოს ყველა უწყებასა და ორგანიზაციას მტკიცეთ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული სამუშაოთა პროგრამა, მაჩვენებელთა სისტემა და მეთოდოლოგიური დირექტივები და არავითარ შემთხვევაში არ შესცვალონ ყოველივე ის კომისიასთან წინასწარ შეუთანხმებლად.

3. 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების ღირებულებისა და ლიმიტების პროექტებს, ა/კფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული ფორმების თანახმად, შეადგენს ყველა უწყება და დაწესებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხელმძღვანელობით ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ ვადებზე, იმ ვარაუდით, რომ მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარედგინოს 1930 წ. მარტის 21-თვის.

4. დაევალოს ყველა უწყებასა და დაწესებულებას აპრილისა და მაისის განმავლობაში დამუშაონ სადარგო გეგმები, იმ ვარაუდით, რომ აღნიშნული გეგმები დამთავრებული სახით წარედგინოს იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში არა უგვიანეს მაისის 15-ისა, ხოლო მრეწველობის გეგმა— არა უგვიანეს მაისის 25-ისა.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოახდინოს უწყებისა და ორგანიზაციების მიერ წარედგინილი მასალების კრიტიკული შეფასება იმ ვარაუდით, რომ სადარგო გეგმების წარედგენა უზრუნველყოფილ იქნეს არა უგვიანეს ივნისის 1-ისა, ხოლო მრეწველობის— არა უგვიანეს ივნისის 15-ისა.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის 1930-31 წ. საკონტროლო ციფრების პროექტი შემოიტანოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად ივლისის 10-სათვის.

7. რათა შედგენილ იქნეს ერთი მთლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმა, — სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 28-ის დადგენილების თანახმად, დაევალოს საკავშირო და ფედერატიული მნიშვნელობის დაწესებულებათ, რომელნიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედობენ, აგრეთვე ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების დაწესებულებათ—თავიანთი წლიური გეგმები და საანგარიშო და სხვა მასალები წარმოადგინონ, სათანადო სისტემის მეშვეობით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოთხოვნისამებრ და მის მიერვე დადგენილ ვადებზე.

8. დაევალოს საქართველოს სსრ უწყებათ (სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს და სხვ.) საკონტროლო ციფრების იმ მასალების ასლები, რასაც ისინი ფედერატიულ უწყებებს უგზავნიან, წარუდგინონ ხოლმე იმავე დროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

9. სახალხო განათლების საკონტროლო ციფრების საფუძვლებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

- ა) სასკოლო ქსელი;
- ბ) მოსწავლეთა კონტინგენტი;

გ) სასკოლო მშენებლობაში მოსათავსებელ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა;

დ) სასკოლო საქმის დაფინანსების საერთო მოცულობა;

ე) სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო საქმის გასაშლელად საჭირო ღონისძიებანი და ამით გამოწვეული ხარჯების რაოდენობა.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას სახალხო განათლების საკონტროლო ციფრების ზემოაღნიშნული საფუძვლები წარუდგინოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას მარტის 20-თვის.

11. საქართველოს სსრ 1930-31 წ. სახელმწიფო და ადგილობრივი ბუჯეტების საკონტროლო ციფრებს შეადგენს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მთლად საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის შედგენილი ლიმიტებისა და ღირებულებების საფუძველზე.

12. საკონტროლო ციფრების იმ ნაწილის დამუშავება, რაც საქონლის ბრუნვის გეგმას ეხება, დაევალოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ განსაზღვრული მოცულობით და მის მიერვე დადგენილ ვადებზე.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას მტკიცე თვალყური ადევნოს ამა დადგენილების აღსრულებას, მეტადრე დანიშნული ვადების ხაზით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. მარტის 16.  
ტფილისი—სასახლე

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 70 №-ში 1930 წ. მარტის 28.

## 101. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

ცალკეობით ვაჭრობის რაციონალიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უფლება მიეცეს კოოპერატიულ ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სა-  
ვაჭროებს (торги), ადგილობრივი პირობების მიხედვით ან საწარმოთა მუშა-  
მოსამსახურეებისათვის სათანადო მომსახურეობის გაწევის საჭიროებასთან და-  
კავშირებით, გვერდი აუხვიონ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ  
ვაჭრობის წარმოებისათვის დაწესებულ დროს და წესს, რაც წინასწარ უნდა  
აცნობონ აღნიშნულ აღმასრულებელ კომიტეტებს.

2. დაევალოს ყველა მშენებელ ორგანიზაციას გაითვალისწინოს ხოლმე მის  
მიერ ასაგები მრავალბინიანი სახლებისა, დიდრონ სამრეწველო საწარმოთა და  
სხვ. გეგმებში სავაჭრო სადგომების აშენება, უპირატესად ისეთ შემთხვევაში, რო-  
დესაც მშენებლობა ისეთ ნაკლებად დასახლებულ რაიონებში სწარმოებს, სა-  
დაც უქუჩანთა ქსელი არ არის; ამასთანავე, მშენებლობით გაითვალისწინებული  
სავაჭრო სადგომების ადგილი და ტიპი შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო  
კოოპერატიულ ორგანიზაციასთან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. მარტის 16.  
ტფილისი—სასახლე.



## 102. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

მთლიანი ჯიშის ნათესებისათვის დანიშნულ მასსივებში უბრალო თესვის შერევის წინააღმდეგ საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

მიმდინარე სამეურნეო წელს ჯიშის სათესლე მასალის საერთო ნაკლებობის გამო, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს კულაკურ მეურნეობათათვის ჯიშის თესლის მიცემა.

შენიშვნა. ამა მუხლის მოქმედება გავრცელდება ყველა მეურნეობაზე, რომელიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდვების წესების მიხედვით კულაკურ და აშკარად—კულაკურ მეურნეობათა კატეგორიის მიეკუთვნება.

2. უკეთუ კულაკურ მეურნეობას არ შეუძლიან დამოუკიდებლად შეიძინოს ჯიშის მასალა იმ რაოდენობით, რაც მისთვის საჭიროა 1930 წ. საგაზაფხულო თესვის კამპანიაში, აიკრძალოს მას მთლიანი ჯიშის ნათესის მასსივების რაიონში უბრალო თესლით მიწის დათესვა.

3. იმ პირს, ვინც ამა დადგენილების მე-2 მუხლს დაარღვევს, დაედება, ადმინისტრაციული წესით, ჯარიმა 100 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე; ამ ჯარიმას თუ იძულებით მუშაობას გადასწყვეტს საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტისა ადმინისტრაციის განყოფილების უფროსი, სასოფლო საბჭოს მიერ შედგენილი აქტის მიხედვით და იმ წესების თანახმად, რაც გათვალისწინებულია „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით გადასახდელის დადგენის შესახებ“ გამოცემულ დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი, მუხ. 100, 1928 წ. მე-10 №-ი, მუხ. 92, 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 145 და 23 №-ი, მუხ. 288).

4. ამა დადგენილების განხორციელება დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტების საერთო ხელმძღვანელობით.

5. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ის და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს განხორციელონ ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი სათანადო რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

6. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველის მაგ. ან. ანთაძე.

1930 წ. მარტის 11.

ტფილისი—სასახლე.

103. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

1930 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის შესახებ.

რათა 1930 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის უზრუნველყოფილ იქნეს ტრაქტორის სათადარიგო ნაწილების დამზადება—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ სისტემატიური მეთვალყურეობა, რათა მათ ტერიტორიაზე მყოფ ტრესტთა და საწარმოთა მიერ შესრულებულ იქნეს სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დავალებანი და ყოველმხრით ხელი შეუწყონ მათ ამა დავალებათა აღსრულების საქმეში.

2. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს განახორციელონ იგივე ღონისძიებანი მათ ტერიტორიაზე მყოფ ტრესტთა და საწარმოთა მიმართ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგ. გ. შვალაბლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. მარტის 16.  
ტფილისი—სასახლე.

104. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

„დედა-ცხვრების დაკვლის აკრძალვის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 1-ლის დადგენილების 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

„დედა-ცხვრების დაკვლის აკრძალვის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 1-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 275) 1-ლი მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 1. დროებით, განსაკუთრებული განკარგულების გაცემამდე, აიკრძალოს მერინოსი, მეტისი, ციგაური და კარაკული დედა-ცხვრების დაკვლა, აგრეთვე დაკვლა ოთხ წლამდე მსხვილმატყლოვანი ჯიშის დედა-ცხვრებისა“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგ. გ. შვალაბლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. მარტის 16.  
ტფილისი—სასახლე.

## 105. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ქ. ს.

„სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 13-ის დადგენილების გაუქმებისა და სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტის ახალი დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 13-ის დადგენილება „სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ. კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-ი, მუხ. 66) და დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ახალი „დებულება სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტის შესახებ“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგ. გ. მაგლობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. მარტის 16.

ტფილისი—სსახსებ.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტის შესახებ.

1. სვანეთის გზის მშენებლობისათვის საერთო ხელმძღვანელობისა და მე-თვალყურების გასაწევად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტი, რომელიც მოქმედობს ამა დებულების თანახმად.

2. კომიტეტს დაკისრებული აქვს შემდეგი მოვალეობა:

ა) განიხილოს, დაადასტუროს და წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოში შეტანილი პროექტები და ხარჯთაღრიცხვები;

ბ) განიხილოს სამუშაოთა საწარმოო და საფინანსო გეგმები;

გ) განიხილოს და დაადასტუროს საჯარო ვაჭრობით გასაცემი დიდრონი სამუშაოებისა და ყიდვით—მიწოდების საერთო პირობები;

დ) დაამტკიცოს თანამდებობაზე სამუშაოთა უფროსი და დაუნიშნოს მის ჯამაგირი;

ე) განიხილოს, დაადასტუროს და წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს როგორც პერიოდული, ისე საბოლოო ანგარიშები და ბალანსები.

**შენიშვნა.** ამა მუხლში აღნიშნულ ყოველ საკითხს კომიტეტში შეიტანს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო ან, მისი მონდობილობით, გზათა უფროსი—უშუალოდ.

3. სვანეთის გზის სამშენებლო სამუშაოებს კომიტეტი ანხორციელებს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს მეშვეობით. სამუშაოების უშუალო გამგებლობა და ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს სამუშაოთა უფროსს, რომელსაც ჰნიშნავს კომიტეტი—საქართველოს გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსის წარდგენით.

მუშაობის ადგილას კომიტეტს ჰყავს რწმუნებული, რომელიც მოქმედობს სპეციალური ინსტრუქციის თანახმად.

4. სვანეთის გზის გასაყვანად წარმოებული მუშაობისათვის ტენიკური და საადმინისტრაციო-სამეურნეო ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის გაწევა დაკისრებული აქვს საქართველოს გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, რომელიც წარუდგენს ხოლმე სვანეთის გზის მშენებელ კომიტეტს პერიოდულ ანგარიშებს თავისი მოქმედების შესახებ.

5. კომიტეტის წევრთა რიცხვი განისაზღვრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

იმავე წესით ინიშნებიან კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის უფროსი, თავისი თანამდებობის მიხედვით, ითვლება კომიტეტის მუდმივ წევრად.

კომიტეტის სათავეში სდგას პრეზიდიუმი, რომელიც შესდგება კომიტეტის თავმჯდომარისა და კომიტეტის მიერ არჩეული ექვსი წევრისაგან.

6. კომიტეტის ესა თუ ის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმის მარტივი უმეტესობით; უკეთუ ხმები თანასწორ გაიყო, თავმჯდომარის ხმა გადასძლევს. კომიტეტის სხდომიდან სხდომაზე ყველა იმ საკითხს, რაც კომიტეტის ფუნქციებში შედის, გადასწყვეტს პრეზიდიუმი და შემდეგ მოახსენებს კომიტეტს.

კომიტეტის დადგენილებები განხორციელდება კომიტეტის თავმჯდომარის განკარგულებით.

7. კომიტეტს აქვს თავისი ბეჭედი შემდეგი წარწერით „სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტი“.

106. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

ბორჯომის მინერალური წყლის („ბორჯომინწყალი“) ქარხნების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება ბორჯომის მინერალური წყლის (ბორჯომინწყალი) ქარხნების სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. მარტის 21.

ტფილისი—სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ბორჯომის მინერალური წყლის („ბორჯომინწყალი“) ქარხნების სამმართველოსი.

### I. ზოგადი დებულებანი.

1. ბორჯომის მინერალური წყლის პროდუქციის ამოღების, ჩამოსხმისა და გასაღების ორგანიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტების შესახებ გამოცემული დეკრეტის (კან. კრ. 1923 წ. 1-ლ, №-ი მუხ. 2) და ჯანმოთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების (კან. კრ. 1928 წ. მე-12 №-ი, მუხ. 114) საფუძველზე არსდება ბორჯომის მინერალური წყლის ქარხნების სამმართველო, შემოკლებით „ბორჯომინწყალი“, რომელიც იმყოფება მთავარ საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში.

2. „ბორჯომინწყალი“-ს შედგენილობაში შედიან ცხენები: ჩამომსხმელ-გაზისა და შუშის, ყველა მათი დამხმარე ნაწილებით.

ამის გარდა „ბორჯომინწყალი“-სათვის მიკუთვნებული ცალკე აღწერილობაში მოხსენებული შენობები და მიწის ნაკვეთები.

3. ყოველი ცვლილება „ბორჯომინწყალი“-ს ნაწილებში შეიძლება მოხდეს მთავარ საკურორტო სამმართველოს წარდგენით და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით.

4. „ბორჯომინწყალი“ დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულია და მოქმედობს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, თანახმად მთავარ საკურორტო სამმართველოს მიერ დამტკიცებული საგეგმო დავალებებისა. „ბორჯომინწყალი“-ს დღიდან მისი რეგისტრირებისა მიეკუთვნება იურიდიული პირის უფლებები.

5. ყველა თავის ვალდებულებებისათვის „ბორჯომინწყალი“ პასუხს აგებს მხოლოდ ისეთი თავისი კუთვნილი ქონებით, რომელზედაც, მოქმედი კანონების მიხედვით, შეიძლება მიიტყეს გადახდევინება.

საერთო-სახელმწიფო ხაზინა და მთავარი საკურორტო სამმართველო პასუხს არ აგებენ „ბორჯომინწყალი“-ს ვალებისათვის. „ბორჯომინწყალი“ პასუხს არ აგებს სახელმწიფო ვალის ან მთავარი საკურორტო სამმართველოს ვალებისათვის.

6. „ბორჯომინწყალი“-ს შეუძლია მთლად სსრკ-ის ტერიტორიაზე აწარმოოს ყველა ის ოპერაცია, მათ შორის სავაჭრო, რაც საჭიროა ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად.

შენიშვნა. საგარეო ვაჭრობაში „ბორჯომინწყალი“ მონაწილეობას იღებს იმ წესების თანახმად, რაც დადგენილია სათანადო კანონებით.

7. „ბორჯომინწყალი“-ს აქვს ბეჭედი მისი სახელწოდების აღნიშვნით.

### II. „ბორჯომინწყალი“-ს ქონება.

8. „ბორჯომინწყალი“-ს საწესდებო კაპიტალი შესდგება ამა დებულების მე-2 მუხლში აღნიშნული ქონების ღირებულებისაგან, რაც 1930 წლის იანვრის 1-თვის წლიური ბალანსის შედგენამდე: შენობებისა, ნაგებობისა, მანქანებისა, გაწყობილობისა, იარაღისა, ინვენტარისა, ტრანსპორტისა, ნაკეთობისა, ნახევარფაბრიკატებისა, სხვადასხვა მასალებისა, ჰაიებისა და აქციების საორიენტრო შეფასებით განისაზღვრება სულ—2.716.921 მან. და 50 კაპ.

ამის გარდა მთავარი საკურორტო სამმართველო გადასცემს „ბორჯომინწყალი“-ს ბორჯომის მინერალური წყლის პროდუქციის რეალიზაციისა და მუშის და ჩამოსხმელ-გაზის ქარხნების ყველა ოპერაციების მთელ აქტივსა და პასივს 1930 წლის იანვრის 1-ლისათვის.

**შენიშვნა.** „ბორჯომინწყალი“-ს საწესდებო კაპიტალის ზედმიწევნით განსაზღვრა მოხდება 1930 წლის იანვრის 1-ის ბალანსით, რასაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

**III. „ბორჯომინწყალი“-ს სამმართველო, მისი უფლება-მოვალეობანი.**

9. „ბორჯომინწყალი“-ს მმართველ-გამგებლობისათვის მთავარი საკურორტო სამმართველო დანიშნავს დირექტორს და მის მოადგილეს ერთი წლის ვადით.

**შენიშვნა.** რწმუნება-მოსილობის ვადის გასვლამდე დირექტორი და მისი მოადგილე შეიძლება დათხოვნილ იქნენ მთავარ საკურორტო სამმართველოს მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს გამოიჩინებოდნენ, რომ ისინი არ შეესაბამებიან დაკისრებულ მოვალეობას.

10. „ბორჯომინწყალი“-ს სამმართველოს სამყოფელი ადგილი ბორჯომშია.

11. ამა დებულების საფუძველზე და მომქმედი კანონების ფარგლებში, მთავარი საკურორტო სამმართველოს საერთო ზედამხედველობით, დირექტორი დამოუკიდებლად აწარმოებს „ბორჯომინწყალი“-ს ყველა ოპერაციული და აღმინისტრაციული ხასიათის სამუშაოს, განაგებს მის საქმეებს და მისსავე განკარგულებაში მყოფ ქონებას, სდებს ვარიგებებსა და აწარმოებს „ბორჯომინწყალი“-ს გამგებლობაში შემავალ ყოველგვარ ოპერაციას.

12. კერძოდ, დირექტორის გამგებლობის საგანს შეადგენს:

- ა) „ბორჯომინწყალი“-ს შედგენილობაში შემავალი ყველა საწარმოო ნაწილების ხელმძღვანელობა და ორგანიზაცია;
- ბ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საწარმო-საფინანსო გეგმებისა, კაპიტალურ სამუშაოთა გეგმებისა და ტექნიკური პროექტების შედგენა და დასამტკიცებლად მთავარ საკურორტო სამმართველოში წარდგენა;
- გ) წლიური ანგარიშების და ბალანსების, აგრეთვე მოგების განაწილებისა და ზარალის დაფარვის პროექტების შედგენა და დასამტკიცებლად მთავარ საკურორტო სამმართველოში წარდგენა;
- დ) სალაროს მოწყობა, ანგარიშგების წარმოება არსებული სისტემით და საქმისწარმოება;

ე) მუშა-მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა, გარდა მთავარი ბუქხალტერისა, როელსაც დანიშნავს მთავარი საკურორტო სამმართველო „ბორჯომინწყალი“-ს დირექტორის წარდგენით;

ვ) კოლექტიური ხელშეკრულებებისა და ცალკე შრომითი შეთანხმებების დადება;

ზ) „ბორჯომინწყალი“-ს საკურორტო-მთავრობის შენობათა შექმნა, დაქირავება და იჯარით გაცემა და აღნაგობის უფლების შექმნა;

**შენიშვნა.** მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის ხარჯზე აშენებული სახლების იჯარით გაცემა მოხდება მთავარ საკურორტო სამმართველოს ნებართვით.

თ) მთავალ სსრ-ის ტერიტორიაზე საბაზისო საწყობების გახსნა;

ი) დაქველდებულ და სახმარად უფარვის შენობათა, ნაგებობათა და გაწყობილობათა გასხვისება და დაგირავება; ყველა სხვა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შენობათა, ნაგებობათა და გაწყობილობათა გასხვისება და დაგირავება მთავარ საკურორტო სამმართველოს ნებართვით, აგრეთვე მისივე ნებართვით აღნაგობის უფლების გასხვისება და დაგირავება;

კ) გაწყობილობისა და დამხმარე საწარმოთა იჯარით აღება ვადით ექვს წლამდე, იჯარითვე აღება მთავარ საკურორტო სამმართველოს ნებართვით დამხმარე საწარმოთა და გაწყობილობათა ექვს წელზე მეტი ვადით და აგრეთვე წარმოებით საწარმოთა—ვადის მიუხედავად;

ლ) „ბორჯომინწყალის“-ს კუთვნილი ქონების დაზღვევა;

მ) გადასახდელად თამასუქებისა და სხვა ვალდებულებათა გაცემა და მიღება; თამასუქების განაღდება; საკრედიტო ოპერაციების წარმოება სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებებში;

ნ) „ბორჯომინწყალი“-ს მიზნების განსახორციელებლად საჭირო ყოველგვარი გარიგებისა, აქტისა და ხელშეკრულების,—მათ რიცხვში ნარდად მუშაობისა და ყიდვა-მიწოდების ხელშეკრულების დადება; აგრეთვე რწმუნებულობის გაცემა;

ო) უფლება ისარჩილოს და პასუხი აგოს სასამართლოში და აგრეთვე წარმომადგენლობა ყველა ადმინისტრაციულ დაწესებულებაში.

13. „ბორჯომინწყალი“-დან გასასვლელ ქალაღზე ხელის მოწერის წესს დაადგენს სამმართველოს დირექტორი. ყოველგვარ ხელშეკრულებას, ვალდებულებას, თამასუქს, ჩექს და რწმუნებულობას ხელს მოაწერს დირექტორი, ან მისი მოადგილე, ანდა სათანადო რწმუნებულებით აღჭურვილი რომელიმე პასუხისმგებელი თანამშრომელი „ბორჯომინწყალისა“. ფულადი ხასიათის საბუთები დადასტურებულ უნდა იქნეს „ბორჯომინწყალი“-ს მთავარი ბუხჰალტერის ხელის მოწერით. წლიურ ანგარიშებს და ბალანსებს ხელს აწერენ: დირექტორი ან მისი მოადგილე და „ბორჯომინწყალი“-ს მთავარი ბუხჰალტერი.

ზემდგომ ორგანოებთან ურთიერთ მიმართვას „ბორჯომინწყალი“ აწარმოებს მთავარ საკურორტო სამმართველოს მეშვეობით.

14. დირექტორი და მისი მოადგილე ვალდებულ არიან მიიღონ ყოველგვარი ღონისძიება ამა დებულებაში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად გამოიჩინონ საჭირო მზრუნველობა და წინდახედულება; მომქმედი კანონების თანახმად ისინი პასუხს აგებენ დისციპლინარული და სისხლის და სამოქალაქო სამართლის წესით, როგორც მიწოდებით ქონების მთლიანობისათვის, ისე საქმეების ყაიარსთანად და წესიერად წაყვანისათვის.

15. „ბორჯომინწყალი“-შესდგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

ა) საეკპრო-საექსპლოატაციო და

ბ) საწარმო-ტეხნიკური,

აგრეთვე გ) საერთო კანცელარიისა და ბუხჰალტერიისაგან.

16. ყველა განყოფილებას სათავეში უდგას განყოფილების გამგე. საერთო კანცელარიას განაგებს კანცელარიის გამგე.

#### IV. „ბორჯომინწყალი“-ს სპეციალური კაპიტალები.

17. საწესდებო კაპიტალის გარდა შესდგება აგრეთვე:

ა) საამორტიზაციო კაპიტალი;

ბ) საწარმოთა გასაფართოებელი კაპიტალი და

გ) მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდი.

სხვა სპეციალური კაპიტალის შედგენა მხოლოდ საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს ნებართვით შეიძლება.

18. „ბორჯომინწყალი“-ს მოგების განაწილება მოხდება კანონით დადგენილი წასისამებრ; ამასთანავე, მოგების 10% გადაირიცხება მთავარ საკურორტო სამმართველოს სალაროში მშრომელთა საკურორტო მკურნალობის საქმის გასაუმჯობესებლად.

19. საამორტიზაციო ანარიცხის გადადება სწარმოებს ყოველწლიურად, თანახმად სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დადგენილი წესებისა; ეს ანარიცხი მოთავსებულ იქნება პროდუქციის თვითღირებულებაში.

#### V. „ბორჯომინწყალი“-ს ანგარიშგება და მისი მოქმედების რევიზია.

20. ყოველწლიურად არა უგვიანეს სამი თვისა საოპერაციო წლის გასვლისას, რაც განისაზღვრება იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე, „ბორჯომინწყალი“-ს დირექტორი წარუდგენს მთავარ საკურორტო სამმართველოს განსახილველად და დასამტკიცებლად არსებული წესების თანახმად შედგენილ ანგარიშს, ბალანსს, მოგებისა და ზარალის ანგარიშს და ზარალის დაფარვისა და მოგების განაწილების პროექტს.

21. „ბორჯომინწყალი“-ს დამტკიცებული ბალანსები და მოგება-ზარალის ანგარიშები გამოქვეყნდება საჯარო ანგარიშგებისათვის არსებული წესების მიხედვით.

22. „ბორჯომინწყალი“-ს მოქმედების რევიზიას ანხორციელებს მთავარი საკურორტო სამმართველო. სამმართველოს დირექტორი წარუდგენს რევიზიისათვის მთავარ საკურორტო სამმართველოს ყველა დავთარსა და დოკუმენტს, საქმეს და მიწერ-მოწერას; ამასთანავე ყოველმხრით ხელს შეუწყობს „ბორჯომინწყალი“-ს რევიზიას და გამოკვლევის საქმეს.

23. იმ შემთხვევების გამოკლებით, რაც მომქმედ კანონებში ზედმიწევნით არის აღნიშნული, მთავარ საკურორტო სამმართველოს გარდა, ხელისუფლების სხვა ორგანოს, თავისი კომპენტენციის ფარგლებში, უფლება აქვს მისცეს „ბორჯომინწყალს“ დირექტივი და მოსთხოვს ანგარიშებისა და ცნობების წარდგენა მხოლოდ მთავარ საკურორტო სამმართველოს მეშვეობით.

#### VI. „ბორჯომინწყალი“-ს მოქმედების ლიკვიდაცია.

24. უკეთუ „ბორჯომინწყალი“-ს შემდგომი არსესობა მიზანშეუწონლად იქნება ცნობილი, ან იგი არაშემძლედ იქნება აღიარებული, მისი ლიკვიდაცია მოხდება მთავარ საკურორტო სამმართველოს დადგენილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

25. ლიკვიდაციას მოახდენს მთავარ საკურორტო სამმართველოს მიერ დანიშნული კომისია ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის მონაწილეობით, იმ ვადაზე, რასაც, სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით, განსაზღვრავს მთავარი საკურორტო სამმართველო, ხოლო არა უგვიანეს ნახევარწლისა პუბლიკაციის დღიდან.

დადგენილება ლიკვიდაციისა და სალიკვიდაციო კომისიის დანიშვნის შესახებ გამოქვეყნდება არსებული წესით. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის მთავარ საკურორტო სამმართველოს განკარგულებაში და აღიწესდება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებში.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.